კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 23 მაისი, 2004 წელი
№117 (4846)

## პრეზიდენტი

### მიხეილ სააკაშვილმა სარფის მებაჟეებს მითითებები მისცა

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნება აჭარიდან დაიწყო. პრეზიდენტის თვითმფრინავის ბათუმის აეროპორტში დაშვების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის კორტეჟი სარფის საბაჟოსკენ გაემართა. სარფის საბაჟოზე მიხეილ სააკაშვილმა მოკლე კომენტარი გააკეთა თურქეთში ვიზიტთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ მიღწეულია თურქეთის მხარესთან შეთანხმება საქართველო-თურქეთს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ.**

პრეზიდენტმა მებაჟეებს მისცა ორკვირიანი ვადა, რომ მოაგვარონ პრობლემები, რადგან ადამიანებს არ უნდა მოუწიოთ გაჩერება საბაჟოზე და რამდენიმე წუთში უნდა შეძლონ სარფის საბაჟოს გავლა.

პრეზიდენტის თქმით, უკვე მიღწეულია შეთანხმება და ნებისმიერი თურქი ქართველი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოიტანს განცხადებას ორმაგი მოქალაქეობის შესახებ, მას დაუყოვნებლივ მიიღებს.

სარფის საბაჟოს შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს რეზიდენციისკენ გაემართა, სადაც, დახურულ კარს მიღმა პრეზიდენტის რწმუნებულთან აჭარაში ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრა გამართა.

პრეზიდენტი თბილისში დღეს დილით ჩამოვა.

**ინტერ-პრესი.**

## კვირის თვალსაწიერი

### განწმენდა ტალახის შესხმით

**ვოლტერმა თქვა, ღმერთი რომც არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონებინაო.**

გია კენჭაძე რომც არ ყოფილიყო, ნაციონალურ მოძრაობას უნდა გამოეგონებინა, იმდენად წაადგა მისი დაჭერა ამ პარტიის პრესტიჟს.

პარადოქსია არა?

ბათუმელი ბიზნესმენის ამირან ნამიჭაძისგან „კრიშობისთვის" 100 ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტზე დააპატიმრეს პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის სიის 54-ე ნომრით გასული დეპუტატი, ნაციონალური მოძრაობის სწრაფი რეაგირების აპარატის უფროსი, ნაციონალური მოძრაობის კრწანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მრავალი ჩინოსანი ნაციონალის მეგობარი და მისანდო თანამებრძოლი გია კენჭაძე.

ამ ფაქტმა, რომელმაც ლაქა მოსცხო ნაცმოძრაობას საერთოდ, იმავდროულად ასენიზატორის როლიც შეასრულა.

ცნობილია: რევოლუციებს ჩაიფიქრებენ გენიოსები, ალასრულებენ ფანატიკოსები და შედეგებით სარგებლობენ ნაძირალები.

„ვარდების რევოლუციის" ზვავს უამრავი შემთხვევითი პიროვნება მიეტმასნა და აეკრა (კენჭაძე ადრე ყაჩაღობისთვის ყოფილა სამართალში მიცემული). თუ ნაციონალური მოძრაობა მათგან დროულად არ განთავისუფლდა, ხვალ და ზეგ კიდევ არაერთ სირცხვილს ჭამს.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა პარლამენტის წევრი კორუფციისათვის დააკავეს!

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს სირცხვილი მოძრაობამ სწორედ ასეთი ხალხისგან განთავისუფლებით ჩამოირეცხა, „მუნდირის ღირსების" უკუგდებით მოიცილა ეს კაცი თავიდან.

პრეზიდენტმა და ნაციონალური მოძრაობის „პრიმასმა" მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ თქვა, კანონის მთელი სიმკაცრით დავსჯით ყველას, თუ კიდევ ვინმე გაებმება ასეთ საქმეში, განსაკუთრებით ჩვენი პარტიის წევრებს. გავწმენდთ მთავრობას ასეთი ხალხისგან, მოვიცილებთ ამ ნაგავს, ჩვენ არ გვეშინია შანტაჟისა და კრიტიკისო.

იხ. მე-2 გვ.

## კადრი



ბარიყულნი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## გულისთქმა

### სიმღერა თავისუფალ საქართველოზე

ქართლოსიანთა ქვეყანავ,
დახსნილო დავითისაო,
მაცხოვრის სახეს შეჰხარი,
წილხვედრი ღვთისმშობლისაო.
გფარავს ღვთაებრივ შუქივით,
ქართველი დედის მანდილი,
თავისუფლების ჩუქურთმა
გისდება შარავანდივით.

თავისუფლება — ერთობით
ამოვარდნილი ქარია,
თავისუფალნი, ღმერთივით
დაუძლეველნი არიან,
თავისუფლება გვიკურთხე,
დედაო ღვთისავ, მარიამ!

გორგასლოვანთა დროშისქვეშ,
ბაგრატოვანთა გერბითა,
დგახარ გამჩენის მოშიში,
ბევრჯერ აღმდგარი ფერფლიდან.
ისარე, ჩემო სამშობლოვ,
გამარჯვებულო უკუნთან,
შარავანდივით გამშვენებს
თავისუფლების ჩუქურთმა.

თავისუფლება — ერთობით
ამოვარდნილი ქარია,
თავისუფალნი, ღმერთივით
დაუძლეველნი არიან,
თავისუფლება გვიკურთხე,
დედაო ღვთისავ, მარიამ!

ბათუ დანელია.

## ჰერალდიკა

### ნუ წავაქეზებთ უპასუხისმგებლო თვითშემოქმედებას!

#### რამდენიმე მოსაზრება საქართველოს გერბის გამო



**საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ ახლახან საზოგადოებას საკონკურსო წესით შერჩეული გერბი გააცნო.**

**წარდგინებისას ბატონმა ელდარმა აღნიშნა, რომ ავტორმა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს გამოთქმული შენიშვნები. დღეს გთავაზობთ საქართველოს დამსახურებული მხატვრის ვახტანგ რურუას რამდენიმე მოსაზრებას გერბთან დაკავშირებით.**

იხ. მე-2 გვ.

## შემოქმედი

### ლელა წურწუმია: ძლივს გავხედე ჩვენს უძვირფასეს [illegible]



**თანამედროვე მუსიკალურ აზროვნებაში ჩნდება სპონტანური ფსევდოკონცეფციები... ბოჰემურ ცხოვრებისეულ სრბოლაში მეტამორფოზულად იცვლება კალეიდოსკოპურად ჭრელი ფორმატები... და ამ პროცესების გასწვრივ მესაუბრება არაორდინარული ქალბატონი — ლელა წურწუმია.**

იხ. მე-11 გვ.

## ინტერპანორამა



**ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ ბოიკოტი გამოუცხადა არაბულ სამიტს. „განზრახული არ მაქვს მონაწილეობა მივიღო სამიტში ისეთ პირობებში, როცა ორი არაბი პრეზიდენტი — იასირ არაფატი და სადამ ჰუსეინი ციხეში იმყოფებიან", — თქვა მან ტუნისის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე.**



**მადრიდში „საუკუნის ქორწილი" გაიმართა: ყოფილი ჟურნალისტი და პოპულარული ტელეწამყვანი ლეტიცია ორტის როკასოლანომ ჯვარი დაიწერა ესპანეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულზე ფილიპზე. იგი ასტურიის პრინცესა და ესპანეთის მომავალი დედოფალი გახდა.**

## კვირის თვალსაწიერი

# განწმენდა ტალახის შესხმით

(პირველი გვერდიდან)

ეს რომ მართლაც ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ნაციონალებმა უჩუმრად არ მოიცილეს, უარი არ თქვეს ამ კაცის ხმაურიან დაპატიმრებაზე, აქაოდა, ჭუჭყიანი საცვლები საქვეყნოდ არ გამოვფინოთო.

პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ კენჭაძის მსგავსნი კიდევ იყვნენ პარტიაში. ფულის გამოძალვის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არსებობს აჭარისა და კახეთის რეგიონებიდან. ვრცელდება ხმა, რომ კულუარებში უკვე ლაპარაკობენ სახელისუფლებლო ფრაქციის 30-კაციან „შავ სიაზე“, რომლებიც ასევე ბინძურ გარიგებაში არიან შემჩნეული.

ამდენად, წინ მრავალი სიურპრიზი გველის.

ამავე დროს, თვით ნაციონალებს შორის ვითარების გამწვავებაზე მიუთითებს თელავში მიმდინარე მოვლენები, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მაჟორიტარი დეპუტატის – ნაციონალ თამაზ ხიდაშელის და რაიონის გამგებლის – ნაციონალ გოჩა მამაცაშვილის მომხრეები. ქალაქში ხმაურიანი აქციები იმართება, სადაც ერთმანეთს პირისპირ ამისტი და იმისტი ნაციონალები დგანან. ხვალ შეიძლება საქმე ცემა-ტყეპამდეც მივიდეს.

ხიდაშელსა და მამაცაშვილს შორის სიამტკბილობა რომ არ არის, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, დანასისხლად რომ არიან ერთმანეთთან, ეს კახეთში კარგად იციან. მაგრამ საქმე მათს პიროვნულ ურთიერთობაში როდია. კონფლიქტი წინანდლის ღვინის ქარხანასთან არის დაკავშირებული, ანუ – ხიდაშელის მიერ ამ საწარმოს მუქთად პრივატიზებაზე. საქმეში პროკურატურაა ჩართული.

თამაზ ხიდაშელს ამ ქარხნის გამო დავა და აყალმაყალი კარგა ხანია აქვს. თელავის ყოფილი გამგებელი მედეა მეზვრიშვილი მას გასაქანს არ აძლევდა. „რკინის მედიკო“ აღარ არის (სხვათა შორის, თამაზ ხიდაშელმა ქვეყანას სწორედ მ. მეზვრიშვილის „კაბინეტიდან გამოყვანით“ დაამახსოვრა თავი, რასაც მისი მომხრენი დიდ გმირობად უთვლიან, თუმცა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის წასვლის შემდეგ, მედეა მეზვრიშვილი ასლან აბაშიძესავით ძნელი „გამოსაყვანი“ სულაც იყო), მაგრამ წინანდლის ქარხანაზე ბატონ თამაზის უფლებების მიმართ ყველა თელაველს ერთიანი აზრი მაინც არ აქვს.

კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი აცხადებს, თელავში ქუჩების გადაკეტვას პროვოკაციის სუნი უდის და წინანდლის ღვინის ქარხნის ქონებრივი ინტერესებიც მას უკავშირდებაო.

ᲓᲘᲓᲘ აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის იგორ ივანოვის მოულოდნელ და, რაც მთავარია, საიდუმლო ვიზიტს თბილისში. ორშაბათს, 17 მაისს ჩამოფრენილმა და გაფრენილმა ბატონმა ივანოვმა, პირზე ბოქლომი დაიდო და არც ვიზიტის მიზანზე და არც მოლაპარაკების შედეგებზე სიტყვაც არ უთხრა საფარიში ჩამსხდარ ქართველ ჟურნალისტებს. სიტყვა არ დასცდენიათ ამ მოლაპარაკების მასპინძლებსაც.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის საქმე, რაზეც მოილაპარაკეს, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, ლოგიკა გვიკარნახებს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და ი. ივანოვის ქართველი კოლეგის ვანო მერაბიშვილის ძუნწი მინიშნებებიც გვაკვალიანებს, რომ, ალბათ, აფხაზეთის პრობლემა და ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს.

ფართო საზოგადოებრიობისთვის აფხაზეთის საკითხი დღეს ყველაზე არსებითია და, კაცმა რომ თქვას, იგი თავისთავად შეიცავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომ წინსვლას. რუსეთი დიდი ხანია ითხოვს სოჩი-ერევნის რკინიგზის აღდგენას. ეს მაგისტრალი ჰაერივით სჭირდება რუსეთს, რომელიც სპარსეთთან სარკინიგზო კავშირზე ოცნებობს, სომხეთს, რომლისთვისაც იგი სასიცოცხლოდ აუცილებელია, თვით აფხაზეთს და საქართველოსაც. ამიტომ, ბუნებრივია, სწორედ მასზე გაკეთებულიყო მახვილი. რკინიგზა „მრგვალ მაგიდასთან“ საუბრისას ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი კოზირია. რკინიგზის აღდგენა – დიახ, ოღონდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც, დასაწყისისათვის დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება და ა.შ. ბუნებრივია, ლაპარაკი შეიძლება ყოფილიყო რუსულ ინვესტიციებზეც, აჭარაში პოსტრევოლუციურ ვითარებაზეც, რუსულ სამხედრო ბაზებზეც...

საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ ი. ივანოვის ვიზიტი რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის აღდგენის გზაა და ორი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების გაერთიანება იმ კონტექსტში უნდა აღვიქვათ, რა კონტექსტშიც ამის შესახებ განაცხადეს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა თავიანთი შეხვედრის დროს, რათა საბოლოოდ ორ ქვეყანას შორის დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, როგორც მათ ეკადრებათ.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონ ი. ივანოვის ჩამოსვლა კიდევ უფრო გვაახლოებს იმ დღეს, როცა (სექტემბრის მეორე ნახევარში) საქართველოს პრეზიდენტი ვ. პუტინი ეწვევა და ხელს მოაწერს ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელმაც ჩვენს ქვეყნებს შორის მკვეთრად უნდა შეცვალოს ვითარება უკეთესობისაკენ.

სავარაუდოა, რომ ბატონ ი. ივანოვის ვიზიტი სასიკეთოდ წაადგება ჩვენს მთავარ სატკივარს, მით უფრო, რომ აფხაზებთან მოლაპარაკება თვისებრივად და ხარისხობრივად ახალ სტადიაში შედის. „არც ომი და არც მშვიდობის“ კურსიდან, რაც ყველაზე საშიშია, აღებულია კურსი ნდობის აღდგენისაკენ. ამ მიზნით გაიმართა სოხუმში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდტალიანივის თავმჯდომარეობით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება. მისი მონაწილე სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა მიიჩნევს, რომ ნდობის აღდგენისთვის უნდა დაიწყოს დევნილთა დაბრუნება, რაც თავისებური გარანტიაა იმისა, რომ სამხედრო მოქმედებები არ განახლდება. აფხაზებმა იგრძნეს სერიოზული ცვლილებები ქართულ პოლიტიკაში. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში ისე შეიცვალა ვითარება, ისე დინამიური გახდა, რომ სეპარატისტები შეშფოთდნენ: წინა ხელისუფლების პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც მათ არაფერ ახალს არ სთავაზობდა და შეეძლოთ გულდინჯად ყოფილიყვნენ, დღეს მათ არ იციან რა ელით ხვალ. ეს მიგვანიშნებს, რომ შეგვიძლია წავიდეთ ახალ ნაბიჯებზე.

სხვათა შორის, ამას წინათ მოსკოვში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „არაღიარებულ სახელმწიფოთა მომავალი პოსტსაბჭოთა სივრცეში“. განხილვა მიეძღვნა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის პრობლემებს. მონაწილეობდნენ რუსი პოლიტოლოგები და ექსპერტები. პოლიტოლოგმა სტანისლავ ბელკოვსკიმ განაცხადა, სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადასაჭრელად ორმა ქართველმა და ერთმა ამერიკელმა ბიზნესმენმა 100 ათასი დოლარი გამოყვეს და ამ წლის შემოდგომამდე ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არსებობას შეწყვეტს, მალე ასეთივე ბედს გაიზიარებს აფხაზეთიცო.

ეს „წინასწარმეტყველება“ რომ მაინცდამაინც ანგარიშში არ არის ჩასაგდები, იქედანაც ჩანს, რომ ერთობ სიმბოლური თანხაა დასახელებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ გადასატრიალებლად. 100 ათასი დოლარი გია კენჭაძემ ერთი „კრიშობისთვის“ აიღო (როგორც ირკვევა, თავიდან 500 ათასი მოთხოვა) და ამხელა საქმე მეტი არ დაჯდება? თანაც, რად უნდოდა ამ თანხის მოკრებას სამი კაცი, თანაც მათ შორის ამერიკელი?

აი, ბელკოვსკის შემდეგი დაკვირვება კი უთუოდ საყურადღებოა. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთმა თავისი პოლიტიკა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის მიმართ შეცვალა, რომ არაღიარებული სახელმწიფოების დღევანდელ ელიტას საკუთარი საზოგადოების კონსოლიდაციის უნარი აღარ აქვს.

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ. ვინაც ჯერ არს ყურად უნდა იღოს, რომ საქართველოს სხვა საკონტინენტთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის რეალური პერსპექტივაც აქვს, ამიტომ ჩვენი ქვეყნის მიმართ მეტი მორიდება მართებთ. როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თურქეთიდან გვაცნობა, „მალე ამოქმედდება საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი, რომელიც „ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება, ამ ხაზით საქართველო თურქეთის გავლით ევროპას დაუკავშირდება. თურქეთი კი, საქართველოს გავლით შუა აზიასთან შეძლებს დაკავშირებას“.

ეს ჯერ მხოლოდ პროექტია, მაგრამ ყოვლად რეალური, ალბათ ინვესტორებიც მალე მოიძებნებიან.

ისე რომ, საქართველოს ცოტა შანსი როდი აქვს. ამდენად, ხვალ მასთან პარტნიორობა საინტერესო და მომგებიანი იქნება. ამას არ შეიძლება არ აცნობიერებდეს მოსკოვი.

ჰოდა, ბატონ იგორ ივანოვის ვიზიტის ჩარჩოები თავისთავად ცხადი ხდება.

**ალეკო ასლანიშვილი.**

## ჰერალდიკა

# ნუ წავაქეზებთ უპასუხისმგებლო თვითშემოქმედებას!

(პირველი გვერდიდან)

**„... სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისა და ისტორიული ტრადიციული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე“** საქართველოს პარლამენტის 1999 წლის დადგენილება ურყევ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიმაჩნდა და მეგონა, რომ ეს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო გერბად ისტორიული („კვართიან-დავითიანი“) გერბის აღიარებას გულისხმობდა.

ის, რომ „კვართიან-დავითიანი“ სახელმწიფო გერბია, ამას ორი ყოვლად უტყუარი ისტორიული საბუთიც აცხადებს: **ვახუშტი ბაგრატიონის „სამეფო, კვართიან-დავითიანი, საქართველოსი“ და მეფე ერეკლე II „დიდი ბეჭედი“ (ტრაქტატზე).**

ამასთან, გერბის სახელწოდება „კვართიან-დავითიანი“ ბიბლიურ წინასწარმეტყველებასაც უკავშირდება: **„განიყვნეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალუმანი, 12, 18).** რაც „კვართიან-დავითიანს“ წინასწარმეტყველების განხორციელების ამ აქტში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობის ხატებად აქცევს.

ბაგრატიონთა გვარის ზოგიერთი წარმომადგენლის პრეტენზია თუ პროტესტი უსაფუძვლოა და უფრო კაპრიზს ჩამოჰგავს: სამეფო დინასტიის შთამომავალთა საგვარეულო გერბების (გრუზინსკების, მუხრანსკების, იმერეტინსკების...) სამეფო-სახელმწიფო გერბთან მსგავსება ბუნებრივიცაა და აუცილებელიც.

თუმცა ბაგრატიონთა არც ერთი საგვარეულო გერბი არ იმეორებს, არ ემთხვევა „კვართიან-დავითიანს“.

„საქართველოს სახელმწიფო გერბის პროექტის შესარჩევი კონკურსის“ გამოცხადებამ და კონკურსის პირობებმა პარლამენტის 1999 წლის დადგენილება (ალბათ, უნებლიეთ) სრულიად გააბათილა.

კონკურსის ზოგიერთ პირობას აშკარად აკლია სერიოზულობა:

**1. „... პროექტი უნდა ასახავდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასა და ისტორიულ სამართალმემკვიდრეობას“.**

**2. „... უნდა გამოხატავდეს ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ფასეულობებს“.**



„სამეფო, კვართიან-დავითიანი, საქართველოსი“.

**3. „... უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობას“ (?!).**

ცხადია, ეს პირობები სამეცნიერო-სადისერტაციო თემებს ჩამოჰგავს და ესოდენ უშველებელ ინფორმაციას ერთი სახელმწიფო გერბის ზედაპირი ვერანაირად ვერ დაიტევს. ამიტომაც იგი უეჭველად იქცევა უპასუხისმგებლო თვითშემოქმედების სტიმულად.

ამისგან თავის დასაღწევად მაქვს რამდენიმე მოსაზრება:

საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო გერბად უნდა დაამტკიცოს ისტორიული „კვართიან-დავითიანი“ (რადგან სხვა არ გაგვაჩნია), ეს პარლამენტის საპატიო უფლება და მოვალეობაცაა.

კანონპროექტი კი, ალბათ, უნდა შეიცავდეს გერბის – „კვართიან-დავითიანის“ ისტორიული უტყუარობის მოკლე, ცხად დასაბუთებას და ზოგად აღწერილობას – **ფარების რაოდენობა, მათი დანაწევრება, ფარებზე განთავსებული ფიგურები (კვართი უფლისა, სამეფო ინსიგნიები, წმ. დავითის ატრიბუტები), ფერები (წითელი, ლურჯი, ყვითელი – ოქრო).**

კანონპროექტის მომზადებას ადვილად მოახერხებს განათლებული ისტორიკოსი – ხელოვნებათმცოდნე და ჰერალდიკაში გარკვეული მეცნიერი (დ. თუმანიშვილი, ლ. ვარდოსანიძე...).

პარლამენტმა კი უნდა დაადასტუროს „... ისტორიული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე „თავისივე 1999 წლის დადგენილება და საქართველოს სახელმწიფო გერბად „კვართიან-დავითიანი“ აღიაროს.

კონკურსი კი მხოლოდ „კვართიან-დავითიანის“ შესასრულებლად უნდა გამოცხადდეს. თანაც – ღია კონკურსი!



<u>პირველი ლედი</u>

### ჩამოყალიბდება ქალთა ასოციაცია „საქართველოს რძლები“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ გათხოვილი უცხოელი ქალბატონები უახლოეს ხანებში ქალთა ასოციაციას “საქართველოს რძლებს“ ჩამოაყალიბებენ, ეს ორგანიზაცია საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქვეყნის ახალ რძლებს ინტეგრირებაში დაეხმარება. ამის შესახებ, გუშინ საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს 35 უცხოელ რძალთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

საქართველოს რძალთა შეხვედრაში მონაწილეობა თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სამტრედიაში მცხოვრებმა 35 ქალბატონმა მიიღო.

სანდრა რულოვსის განცხადებით, ქალთა ასოციაცია “საქართველოს რძლები“, რომლის ჩამოყალიბება ივნისისათვის იგეგმება, ხელს შეუწყობს საქართველოში გათხოვილი უცხოელი ქალების მიერ ქართული ენის, კერძების, დედამთილთან და ნათესავებთან ურთიერთობების უმოკლეს დროში ათვისებას.

მისივე თქმით, ასოციაცია სავარაუდოდ, ჰუმანიტარულ პროექტებსაც განახორციელებს. რულოვსის განმარტებით, იმის გამო, რომ იგი საზოგადოებრივ საქმიანობას დიდი ხანია ეწევა, ასოციაცია “საქართველოს რძლების“ მხოლოდ წევრი იქნება და შეძლებისდაგვარად დაეხმარება საქართველოში საზღვარგარეთელ ქალბატონებს იმ საქმიანობის ფართოდ გაშლაში, რომლის შესახებაც გუშინ, კანცელარიაში გამართულ პირველ შეხვედრაზე მათ იმსჯელეს.

<u>მესაზღვრეები</u>

### ფოთში საეჭვო ტანკერი დააკავეს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურმა ფოთში, საბერძნეთის დროშით მცურავი ტანკერი „ვასილიუს 16“ დააკავა.

როგორც ინტერ-პრესს სასაზღვრო უწყების პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში განუცხადეს, ტანკერს დღეს საქართველოს ტერიტორიული წყლები არ დაურღვევია და თევზის უკანონო რეწვას არ ეწეოდა, თუმცა მან 2002 წლის სექტემბერში აფხაზეთის ტერიტორიაზე 2500 ტონა საწვავი უკანონოდ შეიტანა.

ამ დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მესაზღვრეებმა ტანკერის შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს. „ვასილიუს 16“ და ტანკერის 13-კაციანი ეკიპაჟი ამჟამად ფოთის პორტშია დაკავებული და მიმდინარეობს დამატებითი მოკვლევა.

<u>ენერგეტიკა</u>

### „ენგურჰესის“ აგრეგატები თითქმის ყოველდღე ავარიულად ირთვება

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ენერგოსისტემა რამდენიმე დღეა შეზღუდულ რეჟიმში მუშაობს.

გუშინ დილით ასევე ავარიულად გამოირთო „ენგურჰესის“ მეორე აგრეგატი.

როგორც „ინტერ-პრესს“ სახელმწიფო ელექტროსისტემაში აცნობეს, მომხდარი ავარიის მიზეზები ჯერჯერობით დგინდება, თუმცა ცნობილია, რომ, ქვეყნის ენერგოსისტემა 25 პროცენტით არის შეზღუდული.

სისტემაში მომხდარი ავარია აისახა დედაქალაქზეც. მთლიანად გამოირთო მცირე ნავთლუღის ქვესადგური. ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა ისნისა და სამგორის რაიონებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ცხელი თემა

**წალკაში ბოლო ხანს ქართველ-სომეხთა შორის მომხდარმა კონფლიქტმა საზოგადოება შეაშფოთა. რა არის ეს — ეთნოკონფლიქტი? რატომ მოხდა, რაც მოხდა? ეს კითხვები დღეს მთელ ქვეყანას აღელვებს. ნომრის დღევანდელი სტუმარია საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სომხურენოვანი ქართული გაზეთის „ვრასტანის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი (ნაციონალი) ვან ბაიბურთი.**

# ვან ბაიბურთი: კონფლიქტები ხდება, მაგრამ ეს არ არის ეთნოკონფლიქტები

**— ბატონო ვან, თქვენ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური კაცი ხართ მათ შორის, ვინც ღრმად იცნობს წალკის პრობლემას. ამიტომ პირდაპირ ამ კითხვით დავიწყებ: რა ხდება დღეს ამ რაიონში?**

— წალკაში ხდება იგივე, რაც საქართველოს ნებისმიერ რაიონში ხდება. ვგულისხმობ კრიმინოგენურ ვითარებას. საყოფაცხოვრებო ნიადაგზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღეში სულ ცოტა 50 კონფლიქტი მაინც ფიქსირდება, მაგრამ არც ერთი მათგანი გაზეთების პირველ გვერდზე არ ხვდება, ტელეარხები ამით არ იწყებენ გადაცემებს. იმის გამო, რომ ვიღაცეებს ძალიან სურთ საქართველოს ხელისუფლებას რაღაც პრობლემები შეუქმნან, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე გამოწვეულ ჩხუბებს ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებად წარმოსახავენ. ეთნოკონფლიქტი არც წალკაში და საქართველოს არც სხვა კუთხეში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, სამცხე-ჯავახეთი იქნება ეს თუ ქვემო ქართლი, არ ხდება. მით უფრო დღეს, როცა სათავეში რევოლუციური ხელისუფლება მოვიდა, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობა, სამართალდამცავები განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს.

**— ვითომ წალკაში მომხდარი ცემა-ტყეპა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა?**

— დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ, შეიძლება რაღაც დასკვნები, კომენტარები გააკეთოს კაცმა, თუ რატომ მოხდა ეს მაინცდამაინც ბოლო ხანს, როცა აჭარაში იცვლებოდა ხელისუფლება და სიტუაცია დაძაბული იყო, მაგრამ კიდევ ვიმეორებ — ეს არ არის ეთნოკონფლიქტები. ყველაფერი იწყება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე. ავიღოთ ახალქალაქის რაიონის სოფელ აიაზმაში მომხდარი აურზაური. ამ სოფელში უმრავლესობა აჭარიდან ჩამოსახლებულია, სომხები ძალზე ცოტანი არიან. ერთ-ერთ სომეხს უკვე ათი წელია იჯარით აქვს აღებული ტბორი, სადაც თევზს აშენებს, ის კაცი ამით არჩენს ოჯახს. მან იქ მეზობლებს თევზის ჭერის უფლება არ მისცა. უპასუხეს, ეს ჩვენი მიწა-წყალია და რასაც გვინდა იმას გავაკეთებთო... ყველა კონფლიქტი იწყება მაშინ, როცა ეს სიტყვები ჩაერევა საქმეში. არადა, ახალქალაქის მკვიდრი ქართველები ამას არ ამბობენ ხოლმე.

**— ვითომ რატომ არ ამბობენ ამას მკვიდრი ქართველები და ამბობენ ახალჩასახლებულნი?**

— ალბათ ვიღაცეები მათ ეუბნებიან, აი, თქვენ იქ მიდიხართ საცხოვრებლად და დედა უტირეთ ადგილობრივებსო. მე ასე ვფიქრობ. გამორიცხულია, რომ ეს მათ სახელმწიფომ უთხრას, მაგრამ ვიღაცეები კი ნამდვილად ეუბნებიან. შედეგიც არის. ყველა კონფლიქტი ამით არის გამოწვეული.

**— რატომ ხდება წალკაში კონფლიქტები მხოლოდ აჭარლებთან და არა სვანებთან?**

— სვანებთანაც იყო კონფლიქტები, 1994-1995 წლებამდე, ახლა ძირითადად 1998-1999 წლებში ჩამოსახლებულებთან ხდება.

**— ჩხუბი რაიონის ცენტრში და ქართული სოფლების დარბევაც ვითომ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა?**

— წალკის სტადიონზე გაიმართა მოსწავლეთა საფეხბურთო მატჩი, რომელიც 9 მაისისადმი იყო მიძღვნილი. ერთმანეთს ხვდებოდნენ სომხური სოფლის ყიზილქილისას და ქართულ (აჭარლების) სოფელ ხარებას სკოლები. ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. დამსახურებულად მოიგეს ხარებელებმა. რაიონის გამგებელმა მიხეილ ცქიტიშვილმა გამარჯვებულებს თასი გადასცა. მიულოცა აგრეთვე მეორე ფინალისტს. ამ დროს ერთმა ქართველმა მაყურებელმა ნაყინი ისროლა, რომელიც ახლოს მდგომ სომეხს მოხვდა. იმან ამას რაღაც უთხრა, ამან —იმას და ჩხუბი დაიწყეს. იმას ერთი მიემხრო, ამას მეორე და საყოველთაო დაკა-დაკა ატყდა. სომხები ცოტანი იყვნენ, 20-30 კაცი (რაიონულ ცენტრში სომხები თითქმის არ ცხოვრობენ). ყიზილქილისელებმა, რომ ნახეს სცემდნენ, სოფელში დარეკეს, არიქა, გვიშველეთო. იქიდან სხვა სოფლებში გადარეკეს და ავტომანქანებით 150-მდე კაცი წამოვიდა მოსაშველებლად.

**— გზადაგზა კი ქართულ სოფლებს გადაუარეს...**

— აი აქ, სომხების ქმედება დანაშაულებრივი იყო. ყიზილქილისიდან წალკამდე 18 კილომეტრია, გზად 2 თუ 3 სოფელში, სადაც კი ქართველებს შეხვდნენ, ცემა დაუწყეს. ორი აზრი არ არსებობს: მათი ეს ქმედება დასაგმობია, ამის ჩამდენები უნდა დაისაჯონ. გამოძიებამ უნდა გამოავლინოს ვინ იყვნენ ისინი, ვინც უდანაშაულო ხალხს ურტყამდა ქართულ სოფლებში და არბევდა.

როცა გაზეთებში იწერება, სომხები ქართულ სოფლებს არბევენო, ყველას ვეკითხები, მიზეზი მითხარით, რატომ მოდიან და გარბევენ-მეთქი. უბრალოდ, ისე, ხომ არაფერი ხდება...

**— თქვენ როგორ ხსნით?**

— ყველა კონფლიქტი, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა, ძირითადად, 99 პროცენტი, ხდებოდა და ხდება მხოლოდ იმის გულისთვის, რომ მწარე სიტყვას ესვრიან: შენ სომეხი ხარ და შენ სომხეთში წაეთრიეო.

**— ბატონო ვან, მხოლოდ ქართველებისგან ისმის ეს? სომხები არ ეუბნებიან ქართველებს, ეს ჩვენი მიწაა, ქართველებს აქ არაფერი გესაქმებათო?**

— ხანდახან ასეც არის, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს კონფლიქტის წარმოშობის სიტუაციას არ ცვლის. განსხვავება სულაც არ არის იმაში, ვინ წარმოთქვამს ამ მწარე სიტყვებს. უცველელი ის არის, რომ ყველაფერი ამ ნიადაგზე ხდება, თორემ ურთიერთსიძულვილი არც ქართველებშია და არც სომხებში. არ არის ეს. დამიჯერეთ, იქაურ სომხებს არ აღელვებთ, თუ რა რწმენისა არიან ჩამოსახლებული აჭარლები. აი, ზოგი რომ ლაპარაკობს, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ აჭარლები მუსლიმანები არიანო. არ დგას ეს პრობლემა. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მარნეულის რაიონში სომხები აზერბაიჯანელების გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობენ.

**— რაში ხედავთ გამოსავალს? გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ იქ შინაგანი ჯარი შეიყვანეს?**

— მიმაჩნია, რომ შინაგანი ჯარის რაღაც ქვედანაყოფი წალკაში, ალბათ, უნდა იყოს. იქ რომ ასეთი ნაწილი მდგარიყო, ის ადამიანები, რომლებმაც გზადაგზა უდანაშაულო ხალხი სცემეს, ამ დანაშაულს არ ჩაიდენდნენ.

ახლა მთავარ კითხვაზე უნდა გიპასუხოთ: რაში ვხედავ გამოსავალს? სახელმწიფომ ჩასახლებული აჭარლების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. იქ ბევრი დაკეტილი სახლია, რომლებიც ეკუთვნით საქართველოდან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში წასულ ბერძნებს. საქართველოს კანონმდებლობა მათ უფლებას აძლევს ამ საკუთრებაზე, უკანონოდ ამ ქონების მითვისება დასჯადი ქმედებაა. არადა, ამ ბოლო ხანს წალკაში ჩამოსახლებული ხალხი ძირითადად ამ მიტოვებულ სახლებში ცხოვრობს.



დარბეულ წალკელთა აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან.

**— ვიღაცამ ისიც კი თქვა, გარკვეული ძალები აქეზებენ სომხებს, თქვენ იყიდეთ ეს სახლებიო. სომხებს აწუხებთ იქ ბინის პრობლემა?**

— საერთოდ არ აწუხებთ უბინაობა. სომხები თავიანთ სახლებში ცხოვრობენ. იქნებ რამდენიმე კაცს აქვს კიდეც პრეტენზია, რომ რაღაც იყიდოს იაფად (თუ ამის საშუალება არის), მაგრამ არა — მასას.

ია. მე-4 გვ.

მეცნიერება

# საგაზაფხულო საააკადემიო ვნებანი

**არაერთხელ ვყოფილვარ სხვადასხვა მეცნიერულ თავშეყრაზე, ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შესანიშნავ სააქტო დარბაზში (სადაც წინა რიგები საწერი მაგიდებითაა „გაწყობილი“ — ჟურნალისტთა გასახარად). არაერთხელ-მეთქი, მაგრამ ისეთი ხალხმრავლობა, თუ გნებავთ, „მეცნიერმრავლობა“, როგორც 21 მაისს იყო, არ მახსოვს. დარბაზი და პრეზიდიუმი ხომ პირთამდე სავსე იყო — ხალხი გასასვლელებში იდგა და გარეთ, ვესტიბიულშიც იჯდა — იქიდან უსმენდა რადიოფიცირებულ მსვლელობას ფორუმისა, რომელიც ოფიციალურად „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევით დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების წარმომადგენელთა კრებად“ იყო სახელდებული; ფაქტობრივად კი დამსწრე აუდიტორია, თავისი მრავალფეროვნებით, შორს გასცდა ასეთ წარმომადგენლობას. ვის არ ნახავდით აქ — აკადემიკოსებს, წევრ-კორესპონდენტებს, ინსტიტუტების დირექტორებსა და თანამშრომლებს, გაპოლიტიკოსებულ მეცნიერებსა და გამეცნიერებულ პოლიტიკოსებს, ყოფილ და აწინდელ პარლამენტარებს... ეგ არის, მთავრობა იყო ძუნწად (ანუ კენტად) „დელეგირებული“ — მარტო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე მოავლინეს „განტევების ვაცად“...**



დარბაზის ასეთი ცხოველი ინტერესი, დაელექტროებული ატმოსფერო და დუღილის ტემპერატურა, რასაკვირველია, შეკრების საგანმა — მეცნიერებათა აკადემიისა და საერთოდ, მეცნიერების ირგვლივ შექმნილმა უმძიმესმა სიტუაციამ განაპირობა, სიტუაციამ, რომელიც, მართლაც რომ, სიმძიმით უპირებს გასრესას ჩვენს მთავარ მეცნიერულ შტაბს — მისი ჩამოცილებით სახელმწიფო ბიუჯეტისგან და მისგან ინსტიტუტების ჩამოშორებით...

ფიზიოლოგიის ინსტიტუტისა და მისი დირექტორის, პროფესორ თემურ ნანეიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი „ცხელი“ შეკრების ორგანიზებას კარგად გაართვეს თავი, რაც, სხვათა შორის, მოსული „ტელევიზიების“ (ახლა მოდაშია ასეთი არასწორი მრავლობითი) სიუხვითაც გამოჩნდა.

სწორედ ბატონმა თემურმა გახსნა და წაიყვანა სხდომა.

— მოგილოცავთ ბოლო პოლიტიკური მოვლენების სასიკეთოდ წარმართვას... ჩვენ ველოდით მზრუნველობისა და ყურადღების გაძლიერებას მეცნიერების მიმართ და გაოცებული დავრჩით იმით, რაც ხდება. კანონპროექტს ვგულისხმობ, რაც ფინანსთა სამინისტროში მომზადდა და ქვეყნის პრეზიდენტს წარედგინა. გაკვირვებული ვართ საზოგადოებისთვის მეცნიერების მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობით... უგანათლებო, უმეცნიერებო სახელმწიფოს ევროკავშირში, რომლისკენაც ასე ვილტვით, არავინ მიიღებს... კანონი თუ არ ვარგა, განვითარებას თუ აფერხებს, რატომ უნდა აღსრულდეს — უნდა გადაიხედოს. არავინ იცის, რა ბედი ეწევა აკადემიას, თუ ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცემა. ერთი რამ აშკარაა — აკადემიის ქონებას მიითვისებენ. მხოლოდ ნაწილობრივ დაგვაფინანსებთ, დანარჩენი ბიზნესმენებმა უნდა დაგვაფინანსონო. ასეთ ვითარებაში რომელი ბიზნესმენი ჩადებს მეცნიერების განვითარებაში ფულს?.. რა გაგვჭირვებია სამინისტროს სარეფორმო — ფუნდამენტური რეფორმები ხომ ჩვენ თვითონ წამოვიწყეთ აკადემიაშიო...

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა ა. რაზმაძის სახელობის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ივანე კიღურაძეს მისცა. ბატონი ვანოს გამოსვლა, როგორც ყოველთვის, ემოციური, ფუნდამენტური და დამაჯერებელი იყო.

— აკადემიის ყოფნა-არყოფნის საკითხი ჯერ კიდევ 1991 წელს წამოიჭრა — პირველად უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე მოვისმინე, მაშინდელი განათლების მინისტრისაგან. მას აქეთ 7 ათასი კაცით შემცირდა აკადემიის სისტემა. ეს ერთი უბედურებაა. მეორე ისაა, რომ ხმები ააგორეს — კვლევით ინსტიტუტებში არაფერს აკეთებენო... მეცნიერება მაინც გადარჩა და ის რომანტიკოსმა სწავლულებმა გადაარჩინეს, ისეთმა ადამიანებმა, რომლებსაც არ გაეძლებათ მეცნიერების გარეშე...

2002 წლის დეკემბერში აკადემიის ოცპროცენტიანი შემცირება დაიგეგმა. ხსნის კომიტეტი შეიქმნა აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის ინიციატივით და მომაკვდინებელი დარტყმა ავიცილეთ. მერე ჩინებული კანონიც მივიღეთ მეცნიერთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკმა არაფორმალურად, არსებითად დაგვიჭირა მხარი, ნაციონალებმაც დაგვიჭირეს — მაშინდელმა ორმა ძლიერმა ოპოზიციურმა პარტიამ. გვეგონა, ხელისუფლებაში რომ მოვიდოდნენ, შემობრუნდებოდნენ მეცნიერებისაკენ... ახლა საგანგებოდ აკეთებენ ყველაფერს, რომ საკანონო სივრცეში აკადემიას არ დაუტოვონ ადგილი...

ის, რაც აზრიანი და სწორია ევროპაში, საქართველოში რატომ არ არის სწორი და აზრიანი? უნგრეთში აკადემიას ცენტრალური ბიუჯეტიდან აფინანსებენ და ცალკე პარაგრაფი აქვს გამოყოფილი, ერის სიმდიდრედ მიიჩნევენ. ასეა ჩეხეთში, პოლონეთში...

ია. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 117, კვირა, 23 მაისი, 2004 წელი.

ცხელი თემა

# ვან ბაიბურთი: კონფლიქტები ხდება, მაგრამ ეს არ არის ეთნოკონფლიქტები

(მესამე გვერდიდან)

**— ყველაზე არანორმალური მდგომარეობა, ალბათ, მაინც ქართული ენის ერთიანი უცოდინრობა, სკოლაში ამ საგნის უსწავლელობაა. უთუოდ ესეც უწყობს ხელს კონფლიქტების აღმოცენებას...**

— აბსოლუტურად გეთანხმებით და ეს ვითარება, მხოლოდ და მხოლოდ, სახელმწიფოს ბრალია. ყოფილმა ხელისუფლებამ თავის დროზე თანხები გამოყო ჯავახეთის და ქვემო ქართლის სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის, მაგრამ ეს ფული სკოლებამდე არ მივიდა. მეორე იყო თაღლითობა: უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლებიც ვითომდა აფინანსებენ ქართული ენის სწავლებას; გამოდიან ტელევიზიით და პრესით, აი, ჩვენ ვასწავლეთო. ერთი კაცი მაინც მანახეთ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ვისაც არასამთავრობოებმა რამე ასწავლა კურსებზე. უბრალოდ, ფულს აკეთებდნენ.

საკმარისი არ არის კვირაში სამი საათი დაუთმო ქართულ ენას სკოლაში. 1992 წლიდან, როგორც კი საქართველომ რეალურად მიიღო დამოუკიდებლობა, ვყვირი: საქართველოს არაქართულ სკოლებში მესამე-მეოთხე კლასიდან, გარდა მშობლიური ენისა და ლიტერატურისა, ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს ქართულ ენაზე! როცა დღეში ხუთი გაკვეთილი გაქვს და ამ ხუთი გაკვეთილიდან, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გარდა, 4 გაკვეთილს ქართულ ენაზე სწავლობ, ყური შეეჩვევა, 7 წლის მანძილზე კარგად ისწავლი ქართულს. მიხარია, რომ განათლების ახალმა მინისტრმა კახა ლომაიამ, ანუ ახალმა ხელისუფლებამ, ეს ინიციატივა წამოსწია.

**— როგორ მიიღებს მოსახლეობა ამას?**

— დარწმუნებული ვარ, ძალიან ნორმალურად მიიღებს. თუ აქაიქ ვინმე უარს იტყვის, ეს ამინდს არ შექმნის. მინისტრმა ოფიციალურად უკვე გააკეთა განცხადება. ეს ნიშნავს: ქართული სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველები არ დარჩნენ თვითდინებაზე მიშვებული, იცოდნენ სახელმწიფო ენა. სახელმწიფო გამოდის ინიციატივით, რომ ქვეყანაში არაქართველები მეორეხარისხოვანი ადამიანები აღარ იყვნენ, შეეძლოთ სკოლის დამთავრების შემდეგ ქართველთა თანაბრად ისწავლონ თბილისის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, იმსახურონ სახელმწიფო სამსახურში, პარლამენტის წევრს შეეძლოს კანონპროექტის წაკითხვა, კამათში მონაწილეობა, რათა თავისი რაიონისთვის რაღაც გააკეთოს.

თუ არაქართულ სკოლებში ასეთ სწავლებას შემოვიღებთ, მჯერა, რომ 10 წელიწადში შეიქმნება დიდი ფენა არაქართველებისა — სომხების, აზერბაიჯანელების, რუსების და ა.შ. რომლებისთვისაც ქართული მეორე მშობლიური ენა იქნება.

დაბოლოს, მე არ ვმალავ, რომ სამცხე-ჯავახეთის სომხობის რაღაც ნაწილში, ძალიან მცირე ნაწილში, არის ავტონომიის იდეაც, არასასიკეთო განწყობაც, მაგრამ ისინი სულაც არ გამოხატავენ იმ რეგიონის მოსახლეობის აზრს. თუ ვინმეს რამე ეშლება, ამისგან არ უნდა შეიქმნას ანტისომხური განწყობა. დიდი კულტურის და დიდი ისტორიის მქონე ორი უძველესი ქვეყანა — საქართველო და სომხეთი საუკუნეთა მიღმიდან დღემდე იმიტომ მოვიდნენ, რომ ერთად იყვნენ, საერთო მტერს ერთად ებრძოდნენ. აი, ეს უნდა ვასწავლოთ ხალხს, თუ საქართველოსთვის და სომხეთისთვის სიკეთე გვინდა.



დარბეულ წალკელთა აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან.

ესაუბრა
**ალეკო ასლანიშვილი.**

მეცნიერება

# საგაზაფხულო სააკადემიო ვნებანი

(მესამე გვერდიდან)

აკადემიის დანგრევა იმიტომ უნდათ, რომ დასავლეთი ავალებსო. არ დაიჯეროთ!.. ფუნდამენტური მეცნიერებები არ გვჭირდებაო. აქ მიღებული შედეგები ეგებ საბაზრო პროდუქტი არ არის, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ფუნდამენტურ კვლევებს ხელი არ შეუწყო. წაიკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჰორნის სტატია...

ფინანსთა სამინისტროს წინადადებაა აკადემიის გამოყვანა საბიუჯეტო დაფინანსებიდან და პროგრამულ დაფინანსებაზე გადაყვანა, აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნა. წინადადება მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის დაკვეთით მოამზადა არასამთავრობო ორგანიაზციამ, რომლის სახელწოდებაა „ასოციაცია — კონკურენციის განვითარება საქართველოში“. მან რეგისტრაცია გაიარა 2003 წელს, 5 პირის შემადგენლობით, რომლებიც იყვნენ ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიისა და ეროვნული ბანკის თანამშრომლები. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორია ლაშა გოცირიძე. ორგანიზაცია სრული დატვირთვით მუშაობს წლევანდელი პირველი თებერვლიდან, 21 თანამშრომელს აერთიანებს. ისინი ამავე დროს ფინანსთა, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების თანამშრომლები არიან და ძირითად სამსახურში ან უხელფასო შვებულებებს იღებენ, ან ბიულეტენზე გადიან. პირველი თებერვლიდან პირველ მაისამდე ორგანიზაციას აფინანსებდა ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი. არაა გამორიცხული, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე გრანტის ვადა გაგრძელდა კიდეც...

2003 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე“ — გამოსცა დოკუმენტი „საბიუჯეტო დაწესებულებების არასაბიუჯეტო (პროგრამულ) დაფინანსებაზე გადასვლა. მითითებები“. ეს „პროგრამული“ დოკუმენტი მოამზადეს ლაშა გოცირიძემ და გრიგოლ გობეჯიშვილმა. პროექტს აფინანსებდა ზემოხსენებული ფონდი. ბადრი პატარკაციშვილმა ეს უთუოდ მთავრობის დავალებით გააკეთა, თავისი სურვილით არ გააკეთებდა — საკუთარი ნებით მან შეიძლება ასლან აბაშიძის ძაღლები შეიძინა...

პროექტი გეგმავს 600-700 საბიუჯეტო დაწესებულების გარდაქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და დაუფინანსებლად დატოვებას. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი შეეხება ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, მეცნიერული კვლევების სფეროებში არსებულ ყველა საბიუჯეტო დაწესებულებას და სახელმწიფო მომსახურების პრივატიზებად იწოდება. დავაკვირდეთ ამ ტერმინს და მათ რეკომენდაციას — საქართველომ უნდა შეზღუდოს პრივატიზებულ მომსახურებათა ტიპი და მოახდინოს მხოლოდ იმ მომსახურებების პრივატიზება, რომელთა შესრულების ხარისხის შეფასებაც მარტივადაა შესაძლებელი...

აკადემიის დატოვება სურთ ინსტიტუტების გარეშე, რომელთა გადაყვანას განათლების და მეცნიერების სამინისტროში აპირებენ. ამ უწყების მინისტრმა 100-ზე მეტი ინსტიტუტის დირექტორი როგორ უნდა დანიშნოს?.. აკადემია კვლევით დაწესებულებათა კომპლექსი გახლავთ, ეს კომპლექსია საძირკველი — სახურავი მერე დავადგათ...

ჩვენ გვინდოდა აკადემიის, როგორც ინსტიტუტების კრებულის მართვის ევროპული მოდელი შემოგვეთავაზებინა. ეგებ ის ორპალატიანი სისტემით იმართოს: ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტებისგან შემდგარი სენატისა და აქტიურად მომუშავე მკვლევართაგან შემდგარი კონგრესის მიერ — ორივე კი ასამბლეას შეადგენს...

ჩვენ თანამშრომლობას ვთავაზობთ ხელისუფლებას. საატესტაციო კომისიის შექმნას პრეზიდენტმა მოაწერა ხელი. მთავრობა ქვეყნის მეთაურის შეცდომაში შეყვანას ლამობს.

მე მოვუწოდებ მთავრობას, გონს მოეგოს. ზურაბ ქვანია ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას. როგორ შეიძლება უინსტიტუტებოდ აკადემიის დატოვება! თუ ის ავადსახსენებელი კანონპროექტი დამტკიცდება, ახლანდელი მთავრობა და პრემიერი ისტორიაში შევლენ, როგორც მეცნიერების მესაფლავე...

პარლამენტს ვინ მისცა უფლება, ზნეობრივად ასწავლოს ჭკუა აკადემიას. დავაყენოთ გვერდიგვერდ პოლიტიკოსთა კორპუსი და სწავლულთა კორპუსი — ვინ უნდა მოისხას ზნეობრიობის მანტია, ეს კიდევ საკითხავია...

მოვუწოდებ ლევან ბერძენიშვილს, მალულად ნუ დაუშვებს თავის კომიტეტში საკითხების განხილვას.

ვთხოვ ქალბატონ ნინოს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, თუ პარლამენტის სხდომაზე მაინც დადგება აკადემიის ეგრეთ წოდებული გაუქმების საკითხი, კენჭისყრა სახელობითი მოაწყოს, რათა იცოდეს შთამომავლობამ, თუ ვინ მისცა ხმა საქართველოში მეცნიერების დასამარებას...

რამდენად ემოციური იყო აკადემიკოს ივანე კიღურაძის სიტყვა, იმედი მაქვს, ამ ფრაგმენტული ჩანაწერებიდანაც გამოჩნდა.

ამის შემდეგ წამოვიდა და წამოვიდა სხვა გამომსვლელთა „მესიჯები“: აკადემია ინსტიტუტების კრებულია, კომპლექსია, ერთობლიობაა, როგორ შეიძლება მისი „გამოშიგვნა“; ყველა ინსტიტუტის შენობა (სხვათა შორის, საბჭოურ ხანაში აგებული!) ლამაზია, ქალაქის კარგ ადგილებშია წამომართული და ოლიგარქებს მათი ხელში ჩაგდება სურთ, რომ რესტორნები, სამორინეები, სხვა „ფულსახვეტები“ გახსნან და საერთოდაც, აკადემიის ქონების დასაკუთრება მოუნებათ; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რუსეთში სრულიად პასუხისმგებლურია და პოზიტიური მთავრობებისა და პრეზიდენტების დამოკიდებულება თავიანთი აკადემიებისადმი (ვლადიმერ პუტინის შესაბამისი პოზიციის თაობაზე მკითხველს მალე მოვუთხრობთ — თ.ე.); საქართველოს პრეზიდენტს ატყუებენ, მან არ იცის, რაც აკადემიის გარშემო ხდება. ცნობილმა ტელეჟურნალისტმა მერაბ ბერაძემ დაიჩივლა, თუ როგორ დაუხურეს, პირველ არხზე, კვირაში ერთადერთი 25-წუთიანი სამეცნიერო გადაცემა „ენერგია“ (რომელიც მკვლევართა წრეებში საკმაოდ პოპულარულია და მე ეს კარგად ვიცი — თ.ე.); აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა „აღუთქვა“ აკადემიის დასამარების „ორგანიზატორებს“, რომ ისინი ისტორიაში ქართული მეცნიერების ჩინგიზხანებად; ნადირშაჰებად და შაჰ აბასებად შევლენ...

გთავაზობთ კრების მიმართვას ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი (ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, სახელმწიფოს მეთაურისადმი — თ.ე.).

„მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კორპუსი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების თანმიმდევრულ პოლიტიკას და ფიქრობს, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული ისტორიული მოვლენები ქვეყნის გამთლიანებისა და ერის შელახული ღირსების აღდგენის საწინდარია.

ერის ღირსების, მისი კულტურისა და ზოგადად, ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც ბოლო წლებში მოკლებული იყო ხელისუფლების ყურადღებას. მეცნიერული საზოგადოებრიობა იმედოვნებდა, რომ ევროპული ორიენტაციის მქონე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ სწავლულთა კორპუსთან, ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ რეალურად იზრუნებდნენ მეცნიერების განვითარებაზე. სამწუხაროდ, საზოგადოებისათვის უცნობ სახელმწიფო სტრუქტურებში მომზადდა „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონში შესატან ცვლილებათა“ ისეთი პროექტი, რომელშიც არ არის განსაზღვრული რეფორმის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „მოიძებნა“ სამეცნიერო ინსტიტუტის სტატუსის გაუქმების საკანონმდებლო საფუძველი და უარყოფილ იქნა სამეცნიერო კოლექტივის მართვის დემოკრატიული პრინციპები. პროექტში ნათლად გამოიკვეთა მეცნიერების საბაზისო დაფინანსების შემცირებისა და ინსტიტუტების დაქვემდებარების გადამისამართების გზით აკადემიის ქონების გადანაწილების სურვილი. პროექტის ავტორებმა არ გაითვალისწინეს საქართველოს საუწყებო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში გატარებული მსგავსი რეფორმების სავალალო შედეგები.

საქართველოს მეცნიერებათა აკდაემიის კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელთა კრება საჯაროდ აცხადებს:

„1. ზემოთ აღნიშნული პროექტი შექმნილია ქვეყნისათვის მეცნიერების მნიშვნელობის გაუცნობიერებლად. მისი რეალიზაცია შეაფერხებს მეცნიერების განვითარებას საქართველოში, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს.

2. მეცნიერებათა აკადემია აუცილებლად საჭიროებს ისეთ რეფორმას, რომლის მიზანი იქნება ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული კვლევების ინტენსიფიკაცია. ნაკლებმტკივნეული, პროგნოზირებადი შედეგების მიღებისათვის რეფორმა უნდა ჩატარდეს ევროკავშირის ქვეყნებში წლების განმავლობაში აპრობირებული მოდელების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს აკადემიის არსებობას კვლევით დაწესებულებათა ერთობლიობის სახით; მოქნილი მექანიზმით ინსტიტუტების გამჭვირვალედ მართვას; საზოგადოებისა და ხელისუფლების წინაშე ანგარიშგებისა და მმართველობითი რგოლის ფორმირების შესაძლებლობას დემოკრატიული პრინციპებით; განათლებაში სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას.

ინსტიტუტების დაგეგმილი ატესტაციისა და მეცნიერთათვის სოციალური გარანტიების შექმნის შემდეგ, ასეთი რეფორმა ხელს შეუწყობს ინსტიტუტებში წარმოებულ სამეცნიერო კვლევებსა და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო თანამეგობრობაში.

3. ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს მეცნიერებაზე ზრუნვის პოლიტიკური ნება, რათა ზოგიერთ საკანონმდებლო ხარვეზს არ შეეწიროს ათწლეულობით ჩამოყალიბებული სამეცნიერო სკოლები. **საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროსათვის მეცნიერების უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რეფორმირებულ მეცნიერებათა აკადემიას უნდა მიენიჭოს საბიუჯეტო დაწესებულების სტატუსი, ხოლო მასში შემავალი კვლევითი დაწესებულებები უნდა დარჩნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.**

4. აკადემიის რეფორმის ოპტიმალური ვარიანტის მომზადებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომლის მუშაობაში, პოლიტიკოსებთან ერთად, პროფესიონალი მეცნიერებიც მიიღებენ მონაწილეობას. რეფორმის პროექტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის“.

მაშ ასე, მიმართვა მიღებულია და შთამბეჭდავადაც „ჟღერს“. მთავარია, დროულად გაიცნონ, შეისმინონ და გაითვალისწინონ ადრესატებმა, თორემ არაერთი კარგი მიმართვის ბედიც გვახსოვს.

... ჩემდა გასაკვირად, იმ საღამოს (21 მაისის საღამოს), პოლიტიკასა და კრიმინალზე შოუებს გადაყოლილმა „ტელევიზიებმა“, რომლებიც დახარბებული როდი არიან მეცნიერულ ამბებს, ფართოდ გააშუქეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტში შემდგარი ფორუმი. ეგებ ეს სასიკეთო ნიშანიც იყოს...

**თამაზ ეზანოიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ხსოვნის კულტურა

აკადემიკოსი ნიკოლოზ ყიფშიძე

# ღამეები იოსებ სტალინთან ერთად

მაშინაც კი, როდესაც მაღალსიცხიანი სტალინი ლოგინში იწვა, აინტერესებდა, როგორ დამაბინავეს, რომელ ოთახებში, ამასთან დაბეჯითებით მოითხოვდა, მის ახლოს არ მედარაჯა და მშვიდად დამესვენა. მაგრამ ერთხელ ჩემზე გული მოუვიდა და ისე ყვიროდა, მართალი გითხრათ, შიშით გული კინაღამ გადამიტრიალდა. ასეთი გულისწყრომის საბაბი შემდეგი გარემოება გახდა: ჯერ სტალინმა მკითხა, თუ როგორ და ვინ ანაზღაურებს ჩემ გამოძახებებს სხვა ქალაქებში. ვუთხარი, რომ არსებობს გარკვეული კანონი, რომლის ძალით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს, რომლებსაც პროფესორის წოდება აქვთ, კონსულტაციაზე გამგზავრებისას უხდიან დღე-ღამეში 150 მანეთს და უნაზღაურებენ სამგზავრო ბილეთის ღირებულებას. როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვსარგებლობ უფასო მკურნალობით, ხოლო თბილისში პასუხისმგებელი მუშაკების მკურნალობისათვის მაძლევენ გარკვეულ ხელფასს, თვეში 1000 მანეთს ვიზიტის რაოდენობის მიუხედავად. რა თქმა უნდა, ეს მუშაობა მიმაჩნია საზოგადოებრივ დატვირთვად და ჩემს, როგორც ექიმისა და მოქალაქის მიმართ განსაკუთრებული ნდობის გამოცხადებად. ყოველთვის ვამაყობდი ამით და გამოგიტყდებით, არასდროს მიფიქრია ფულზე. სტალინი ყურადღებით მისმენდა. „ცოტას გიხდიან“, — მითხრა და კაბინეტში შევიდა. უკან რომ გამობრუნდა, ხელში ფული ეჭირა, და დასძინა: აი, აიღეთ ეს ფული ჩემზე გაწეული მკურნალობისთვის. მე, რასაკვირველია, გავვოცდი მისი საქციელის გამო, მით უმეტეს, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე ვმუშაობდი სპეციალურ სამკურნალო სამმართველოში და ვემსახურებოდი ამ მხრივ მოსკოვის, ბაქოს, ერევნისა და თბილისის მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკებს. ჩემ წინაშე არასდროს წამოჭრილა ასეთი საჩოთირო საკითხი. მეძლეოდა გარკვეული ხელფასი და ამით კმაყოფილი გახლდით. აქ უკვე დილემის წინაშე აღმოვჩნდი — ფულის აღება თვით სტალინის მკურნალობისთვის. მე, რა თქმა უნდა, ფულზე უარი ვთქვი, უკან დავაბრუნე და მაგიდაზე დავდევი, თანაც გამოვთქვამდი ჩემ მოსაზრებებს უარის გამო. სტალინი კვლავ მომიახლოვდა, მაგიდიდან ფული აიღო და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაჩურთა. ახლა მე გულის ჯიბიდან ფული ამოვიღე და ისევ მაგიდაზე დავაწყვე და ოთახიდან გასვლას შევეცადე. კარამდე მისვლაც ვერ მოვასწარი, სხვათა შორის, ეს ხდებოდა საკმაოდ მოზრდილ ოთახში — სასადილოში, რომ სტალინმა ყვირილი დაიწყო: „როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გიბრძანებთ, ფული აიღოთ“. შემეშინდა. ჩემდა სამარცხვინოდ, ფული გამოვართვი და საკუთარი თავი რომ დამეშოშმინებინა, საცოდავად წავილუღლუღე: ამ ფულს ჩემ კლინიკას გადავცემ ლაბორატორიის გასაუმჯობესებლად. სტალინი ერთბაშად დამშვიდდა, უკვე უხმოდ, მარჯვენა ხელის სალოკი თითი მაღლა ასწია, წყნარად, ის კი არა, სიცილით, მითხრა: „ასე არ მოიქცეთ, ამას შევიტყობ და უფრო მეტად გაგიბრაზდებით“. ცნობისმოყვარე მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად ვიტყვი, რომ სტალინმა მკურნალობისთვის პირადი სახსრებიდან 5 ათასი მანეთი გადამიხადა. ასეთი ჰონორარი არც ძველ რევოლუციამდელ დროში და არც საბჭოურ წლებში არავისგან მიმიღია. თუმცა, პაციენტი ხომ განსაკუთრებული, განუმეორებელი გახლდათ!

მას შემდგ, რაც ეს მოხდა, უკვე შვიდი წელი სრულდება. მაგრამ ჩემ სიცოცხლეში არასდროს დამავიწყდება ფულთან დაკავშირებული ეს ამბავი, სტალინის სახე და მისი გულმოსული დატატანება. თითქოს დღესაც ხელს მწვავს ეს ფული, მაგრამ ისეთ ყოფაში ჩავვარდი, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა.

დაავადების დიაგნოზი 1946 წელს რომ დავსვი, ასეთი იყო: მწვავე გასტროენტერიტი, გულის მიოდისტროფია, არტერიოსკლეროზი, ქრონიკული ჰეპატიტი.

როგორც ხედავთ, აქ სრულებით არ ფიგურირებს ჰიპერტონიული ავადმყოფობა, რომელიც გახდა ტვინში სისხლის ჩაქცევის მიზეზი საერთო ათეროსკლეროზთან ერთად. ესეც გასაგებია, იმ დროს არტერიული წნევა ნორმალურ ციფრებს აჩვენებდა. სტალინმა არ შეასრულა წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული ჩემი ერთ-ერთი რჩევა — ყოველწლიურად დაესვენა სამხრეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, სულ ცოტა ორი თვე მაინც. სტალინი ასე იქცეოდა 1952 წლამდე, ისვენებდა, ხშირად ორ თვეზე მეტი ხნით, მაგრამ 1952 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე არ დაუსვენია სამხრეთში და საერთოდ მოსკოვიდან არ გასულა. ისმის კითხვა: სტალინს 1952 წლის ზაფხულში რომ დაესვენა, ხოლო მაღალი სისხლის წნევა წინასწარ ყოფილიყო ცნობილი და მის წინააღმდეგ დროულად მიეღოთ ზომები, შეიძლებოდა თუ არა იმ კატასტროფის ვადის გადაწევა, რომელიც მას თავს დაატყდა 1953 წლის მარტის დამდეგს?

კითხვა წმინდა აკადემიურია. მასზე პასუხის გაცემა არავის ძალუძს, ყველაზე დახელოვნებულ და ნიჭიერ ექიმსაც კი. მაგრამ ერთი უდავოა და ყველასათვის ნათელი: თითოეული ადამიანის ორგანიზმი, მით უმეტეს ისეთისა, როგორიც სტალინი იყო, საჭიროებს ყოველწლიურ დასვენებას. ამის გარდა, ყოველი ადამიანის ორგანიზმი, მით უმეტეს ისეთ ასაკში, როგორიც სტალინს ჰქონდა, მოითხოვს დღენიადაგ საექიმო დაკვირვებას. როგორც ცნობილია, არ ყოფილა არც ერთი და არც მეორე. სტალინს არ ჰყოლია ერთი ექიმიც კი, ყოველ წუთს რომ ყურადღებას მიაპყრობდა, გასინჯავდა მას, თვალს მიადევნებდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. მაგრამ ეს არ იყო დამოკიდებული არც ექიმებზე, არც სტალინის ახლობელ მეგობრებსა და თანამოსაგრეებზე.

სტალინთან საუბარში ბევრჯერ გამომითქვამს გაოცება იმის გამო, რომ მასთან მუდმივად არ იყო ერთი ექიმი მაინც, რომელიც ყოველ წამს გააკონტროლებდა მის ჯანმრთელობას. განსაკუთრებით იმან გამაოცა, რომ მოსკოვიდან სამხრეთში დასასვენებლად გამგზავრებისას (დასვენება ზოგჯერ სამი თვე გრძელდებოდა) სტალინს ექიმი არ ახლდა. მართალია, ასეთი მგზავრობისას ერთი ექიმი მიჰყვებოდა, მაგრამ იგი სტალინის თანმხლებ პირებს ემსახურებოდა. ასე იყო 1951 წელსაც წყალტუბოსა და ბორჯომში მგზავრობისას. სტალინმა იცოდა, რომ მე ბორჯომში ვიმყოფებოდი, მრავალჯერ მომიხდა ასვლა ლიკანში, სადაც სტალინი ისვენებდა, ბორჯომიდან ორ კილომეტრზე, მაგრამ მათ ექიმთან ერთად გავსინჯე ავადმყოფები — სტალინის თანმხლები პირები.

1951 წლის ზაფხულში სტალინი არ გამომხმაურებია, არც მივუწვევივარ, მაგრამ თანმხლებ პირთაგან სხვა ავადმყოფები გამომიგზავნა. სტალინი რომ ექიმებს ჩვენებოდა, არც ერთი ჩვენგანი არ ურჩევდა შუაგულ აგვისტოში, გაგანია პაპანაქებაში, გამგზავრებულიყო წყალტუბოს, საიდანაც ერთი დღე-ღამის შემდეგ ბორჯომში გაიქცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ამავე დროს სტალინი დაინტერესებული იყო მედიცინის საკითხებით. მაგალითად, მასთან ჩემი ყოფნის მეხუთე დღეს, უკანასკნელ შეხვედრაზე, მთხოვა წამეკითხა მეცნიერულ-პოპულარული ლექცია ანტიბიოტიკებზე. იმ დროს ეს მედიცინის ახალი მიღწევა იყო და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ამ თემაზე თითქმის არ არსებობდა. სტალინი თავის თხოვნას სწორედ ამით ასაბუთებდა.

სტალინის თხოვნა, რა თქმა უნდა, შევასრულე და ფეხზე მდგომმა წავიკითხე ორმოცწუთიანი ლექცია. მახსოვს, როგორ დავამთავრე ლექცია — უკვე მრავალი წელია ლექციებს ვუკითხავ სტუდენტებსა და ექიმებს, მაგრამ არასდროს მიღელვია ისე, როგორც დღეს, ვთქვი მე. ამ სიტყვებზე სტალინს გაეღიმა, რამდენიმე შინაარსიანი კითხვა დამისვა წაკითხული ლექციის შინაარსიდან გამომდინარე და მადლობა გადამიხადა მიღებული სასარგებლო ინფორმაციისთვის.

სტალინთან შეხვედრებისა და მრავალრიცხოვანი საუბრების საფუძველზე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ დიდი ნდობით არ ეკიდებოდა სამედიცინო პერსონალს, როდესაც საქმე პირადად მას ეხებოდა. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ სტალინი 100 პროცენტით არც მე მენდობოდა. რასაკვირველია, იმ მომენტში, როდესაც მას ვმკურნალობდი, როდესაც ტემპერატურა 39,6 გრადუსამდე ადიოდა, ჩემი სჯეროდა, ჩემი ხელიდან მიწოდებულ ყველა წამალს სიტყვაშეუბრუნებლად სვამდა, სხვაგვარად არც გამომიძახებდა, მით უმეტეს, რომ ჩემი მიწვევა მოხდა იმ მომენტში პირადად მისი სურვილით, და არა იქ მყოფ პირთა რჩევით. ცნობილია, რომ იმ დროს, 1946 წლის დეკემბერში, მასთან პოსკრებიშჩევი იმყოფებოდა, მეტი იქ არავინ ყოფილა, ხოლო მაშინ პოსკრებიშჩევი არ მიცნობდა და ჩემი გვარიც კი ძლივს ჩაუწერია სტალინის კარნახით.

მაგრამ იმ დროს სტალინი კარგად მიცნობდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ 15 წლის მანძილზე თბილისში დედამისს ვმკურნალობდი; მეორეც, სერგო ორჯონიკიძისა და მ.ი. კალინინის მხრიდანაც, რომლებსაც აქამდე დიდი ხნით ადრე ვიცნობდი, აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი მუშაკების სიტყვებით, რომელთა მკურნალობაც მიხდებოდა. როდესაც მედდა დამჭირდა თბილი კომპრესის დასადებად, სტალინმა მითხრა: გთხოვთ ნურავის დაუძახებთ, თვითონვე გააკეთეთ ყველაფერი, უცხო სახეები არ მჭირდება.

ყოველივე ეს ჩემთვის გასაგებია, რადგან სტალინი ბევრს მიამბობდა, კერძოდ, იმის შესახებ, რომ მზადდებოდა მასზე თავდასხმა როგორც ერთი ექიმის, ისე, აგრეთვე, ტროცკისტების მხრიდან. მასზე განზრახული თავდასხმა, როგორც სტალინმა მითხრა, „თვითონ აიცდინა თავიდან“. იმის წინდაწინ გამოცნობა, რომ თავდასხმა მზადდებოდა სტალინზე 1935 წელს სნეული დედის სანახავად თბილისში ჩამოსვლის დროს, მის განსაკუთრებულ სიფრთხილესა და გამჭრიახობაზე მეტყველებს.

ამის შემდეგ აღარ მიკვირს სტალინის ესოდენ უნდობლობა, რომელსაც იგი ექიმების მიმართ იჩენდა. აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რაც ბევრ ადამიანს აოცებს, — რატომ არ იყო სტალინის გვერდით თუნდაც ერთი ექიმი, რომელიც მუდამჟამს ყურადღებასა და ზრუნვას არ მოაკლებდა მის ჯანმრთელობას? ასეთი დასკვნა გამოვიტანე შემდგომ გარემოებათა გამო. ერთხელ სტალინმა მკითხა, მოსკოვში სამუშაოდ ხომ არ გადმოხვიდოდითო.



კითხვას ასე ვუპასუხე: თუ ჩემი გადმოსვლის მიზანი იქნება დღენიადაგ თვალი ვადევნო თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მზად ვარ, როცა გნებავთ მაშინ გადმოვიდე. მაგრამ, თუ ეს გადმოსვლა უკავშირდება არა თბილისში, არამედ მოსკოვში კადრების მომზადების საკითხს, ამაში რაიმე აუცილებლობას ვერ ვხედავ, რადგან მოსკოვში მრავლად არიან სამედიცინო დარგის ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემზე უკეთ უძღვებიან ამ საქმეს.

სტალინის პასუხი ასეთი იყო: აბა, რა ვიცი. მე ჯანმრთელი კაცი ვარ და ექიმების დღენიადაგ თვალთვალი სულაც არ მჭირდება.

აღნიშნული საუბარი ასევე ადასტურებს ჩემ აზრს, რომ სტალინი 100 პროცენტით არც ერთ ექიმს არ ენდობოდა, მათ შორის, ვიმეორებ, — არც მე. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სტალინის ირგვლივ არ იყო არც ერთი ექიმი, რომელიც ყოველ წამს დააკვირდებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამ გარემოებამ კი საბედისწერო როლი ითამაშა.

ჩემი გამომგზავრების დღეც დადგა. სტალინი თავს უკვე მშვენივრად გრძნობდა და დარჩენაც აუცილებელი აღარ იყო. გადავწყვიტე თვითმფრინავით უკან გამობრუნება, რადგან ტრანსპორტის ეს სახეობა ყველაზე მეტად მომწონს. ადრინდელმა შიშმა მთლიანად გამიარა. მაგრამ სტალინმა ამის გამო მკვეთრი პროტესტი გამოთქვა და გადმოფრენის ნება არ დამრთო. რა აუცილებელია თვითმფრინავით მგზავრობა? — შენიშნა სტალინმა. აქეთ რომ მოემგზავრებოდით, ნამდვილად გეჩქარებოდათ, სასწრაფოდ უნდა დამხმარებოდით, ახლა კი ამის არანაირი აუცილებლობა არ არის. გეჩქარებათ განა? მოდით, ცალკე ვაგონით გაგამგზავრებთ. იქ თბილად, ტკბილად მოისვენებთ და მშვიდობიანად ჩახვალთ... სტალინმა თვითონვე გასცა სალონ-ვაგონით თბილისში გამგზავრების განკარგულება.

აქ სტალინმა კვლავ გამოავლინა ჩემს მიმართ თავისი ყურადღება და საოცარი ზრუნვა. მანვე გამოიძახა სამეურნეო ნაწილის უფროსი და უთხრა: შევნიშნე, რომ პროფესორს ძალიან ჰყვარებია ბანანები. სუფრაზე არანაირი ხილი არ აინტერესებდა, მხოლოდ ბანანებს მიირთმევდა სიამოვნებით. კიდევ დაგრჩათ ბანანები? — ჰკითხა სამეურნეო ნაწილის უფროსს. მან უპასუხა: დაგვრჩა, მაგრამ ცოტა. ჰოდა, მიეცით პროფესორს სულ მთლად ყველა, გზაში ყელი რომ ჩაიკოკლოზინოს. ბანანებს რამდენიმე ყუთი შესანიშნავი ფორთოხლებიც დაუმატეს.

მოსკოვის მატარებელი, რომლისთვისაც ჩემი ვაგონი უნდა მიებათ, გაგრიდან მხოლოდ ღამით გამოდიოდა. სტალინმა უბრძანა პოსრკებიშჩევს მოეწყოთ გაცილება და ვახშამი საღამოს 10 საათზე დანიშნა. პოსკრებიშჩევის შეკითხვაზე, თუ ვინ მოეწვიათ ვახშამზე, სტალინმა მოკლედ მიუგო: ჩარკვიანი. და, აი, ზუსტად საღამოს 10 საათზე სუფრასთან დავსხედით. პირველად მის ცხოვრებაში თამადად პოსკრებიშჩევი აირჩიეს. სუფრას ღამის ორ საათამდე ვუსხედით. პოსკრებიშჩევის თამადობა იმით გამოიხატა, რომ რიგრიგობით ორ-ორჯერ შესვა მაგიდის წევრების სადღეგრძელო. ვიყავით მხოლოდ ოთხი კაცი და ყოველგვარი სიტყვების გარეშე პოსკრებიშჩევი ერთმანეთის მიყოლებით გვადღეგრძელებდა. ოღონდ არ მახსოვს, რამდენჯერ შესვა ოთხი თანამეინახის სადღეგრძელო.

სადღეგრძელოების გასამრავალფეროვნებლად და სუფრაზე ეშხის შესატანად მთხოვეს, ორიოდე სიტყვა შეგვაწიეთო. წამოვდექი და სადღეგრძელო ასე დავიწყე: მინდა გიამბოთ ერთი თავშესაქცევი ლეგენდა. ლეგენდა იმიტომ ჰქვია, რომ ხალხის წიაღიდან მომდინარეობს, მისი გამონაგონია. მაგრამ შეთხზვასაც ნიჭი უნდა, ქართველმა ხალხმა კი მშვენიერი ლეგენდა შეთხზა. საქმე ეხებოდა სამყაროს შექმნას. როდესაც ღმერთი ამ საქმეს მორჩა, კიდობნით დაიწყო ფრენა. მიფრინდა უკრაინის ტერიტორიაზე, ზემოდან ხორბალი ჩამოყარა და თქვა: უკრაინა იქნება პურის ბეღელი. შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიას გადაუფრინა, ნავთი გადმოღვარა და აზერბაიჯანი ნავთობით გახდა მდიდარი. შემდეგ გვერდზე სომხეთისაკენ გაუხვია და ზემოდან მარილი ჩამოყარა. მაგრამ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდა, კიდობანს ფსკერი მოძვრა და მთელი სიუხვე, რაც შიგ იდო, ბევრი სხვა ქვეყნისათვის გათვალისწინებული, ძირიანად საქართველოს თავს დაებერტყა. სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველო მდიდარია მშვენიერი ბუნებითა და შესანიშნავი ადამიანებით. საქართველომ XII საუკუნეში კაცობრიობას მისცა უკვდავი შოთა რუსთაველი, ხოლო XX საუკუნეში — დიდი სტალინი. ბელადი გულისყურით მისმენდა და ბოლოს შენიშნა: დიახ, კარგი ლეგენდაა, მაგრამ არასდროს მსმენია.

წასვლის დრო ახლოვდებოდა. სტალინმა სადარბაზოს კარამდე გამომაცილა, თბილად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და თბილისისაკენ გამოვემგზავრე, თანაც მილიონი შთაბეჭდილებით დახუნძლული.

რა თქმა უნდა, ეს მოგონებანი არ არის ჩვენი საუბრების სტენოგრაფიული ანგარიში, მაშინ მათ არ ვუწოდებდი მოგონებებს. რასაკვირველია, ყველაფერს როდი ვწერ, თუმცა ყველაფერი ჩინებულად მახსოვს, განსაკუთრებით გავურბივარ ამა თუ იმ პიროვნებათა გვარების დასახელებას, მაგრამ მინდა ერთ რამეში დავარწმუნო მკითხველი: რასაც ვწერ, ხალასი სიმართლეა, მოკლებულია ყოველგვარ ფანტაზიასა და გაზვიადებას.

მოამზადა
**ბორის დარსაძემ.**
თბილისი, 1953 წლის ნოემბერი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 102-116.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# მოკლეს ბუხარელ ებრაელთა თემის ლიდერი

**მანჰეტენის ცენტრის ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაზე მოკლეს უზბეკეთის მკვიდრი, ებრაელთა თემის თვალსაჩინო მოღვაწე ედუარდ ნეკტალოვი, რომელიც ფიგურირებდა ფულის ეგრეთ წოდებული „გათეთრების“ შესახებ გახმაურებულ საქმეში.**

46 წლის ნეკტალოვი, რომელიც 1970-იანი წლებიდან ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო მანჰეტენის ეგრეთ წოდებულ 47-ე „ალმასის“ ქუჩაზე, სადაც მრავლად არის საოქრომჭედლო მაღაზიები და ფარდულები.



იგი, აგრეთვე, იყო ბუხარის თემის აქტიური მოღვაწე (ბუხარელებს უწოდებენ მთელი შუა აზიიდან და არა მხოლოდ ქალაქ ბუხარიდან ჩასულ ებრაელებს): ნეტკალოვი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ბუხარელ ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

ნეკტალოვი მოკლეს მე-6 ავენიუსზე, როცა იგი გამოვიდა საოქრომჭედლო მაღაზიიდან და მიემართებოდა თავისი მუქი ლურჯი ფერის „ბენტლისკენ“, რომელიც მეზობელ ქუჩაზე მდებარე გარაჟში იდგა.

ხალხით სავსე ტროტუარზე მას უკნიდან მიუახლოვდა შავგვრემანი მამაკაცი გრძელი შავი თმით და ისე, რომ ერთი კრინტიც არ დაუძრავს, ორი ტყვია ესროლა ნეკტალოვს ზურგსა და კეფაში.

ამის შემდეგ მკვლელმა სწრაფი ნაბიჯით დატოვა ქუჩა. ყოველივე ეს იხილა ათობით ადამიანმა, მათ შორის „ნიუ-იორკ პოსტის“ მიმომხილველმა, რომელმაც მკვლელის გარეგნობა აღწერა თავის გაზეთში, და პოლიციის გადამდგარმა ლეიტენანტმა ჯონ დოერტიმ, რომელიც პისტოლეტით ხელში გამოუდგა მკვლელს.

როგორც დოერტიმ თქვა, იგი აპირებდა ჩუმად მიპარვოდა მას ზურგიდან, რათა არ აეტეხა სროლა მანჰეტენის ცენტრში, მაგრამ მკვლელმა, როგორც ჩანს, რაღაც იგრძნო, იგი მკვეთრად შემობრუნდა და პისტოლეტი დაუმიზნა დოერტის. ლეიტენანტმა მოასწრო სახლის კედელს ამოფარებოდა, ხოლო როცა იქედან გამოიხედა, დაინახა, რომ ბოროტმოქმედი უკვე ხალხში გაუჩინარებულიყო.

ნეკტალოვი, ორი შვილის მამა, სასწრაფოდ მიიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ იგი უკვე გარდაცვლილი იყო.

ამ მკვლელობამ ქალაქში დიდი აფორიაქება გამოიწვია და მომხდარ ამბავს ფართოდ აშუქებენ ადგილობრივი გაზეთები და ტელევიზია.

მაგრამ, იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც ასევე დააინტერესა პრესა. მონაცემების ბაზის შემოწმებისას, ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ნეკტალოვი და მისი 74 წლის მამა – რომანი იყვნენ იმ 11 ოქრომჭედელს შორის, რომლებიც თითქმის ერთი წლის წინ დააკავა საგამოძიებო სპეციალურმა ბრიგადამ „ელდორადომ“. ეს ბრიგადა შეიქმნა ნიუ-იორკში 1992 წელს ფულის „გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ საქმის გამოძიება დაიწყო 1999 წლის აპრილში, როცა ხელისუფლებამ შეიტყო, რომ კოლუმბიის ნარკოკარტელები თავიანთ უზარმაზარ მოგებას „ათეთრებდნენ“ 47-ე ქუჩაზე.

პროკურატურის წარმომადგენელთა განცხადებით, ნარკოკარტელების კურიერები ჩამოდიოდნენ „ალმასის“ რაიონში უამრავი ფულით, ყიდულობდნენ ოქროსა და ძვირფასეულობას და უგზავნიდნენ მას კოლუმბიელ იუველირებს, რომლებიც ძვირფასი ნივთების საფასურს კოლუმბიური პესოთი იხდიდნენ.

მაინც, როგორ გადაჰქონდათ ოქრო საზღვარზე? გამომძიებლებმა ჟურნალისტებს უჩვენეს ქანჩის გასაღები. ერთი შეხედვით, ეს ნივთი არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა მსგავსი იარაღებისგან, გარდა იმისა, რომ ძალზე მძიმე იყო. იგი თურმე, ოქროსი ყოფილა. ბრალდებულები ოქროს ადნობდნენ ქანჩებად, ხრახნებად და სხვა ხელსაწყოებად და ასე გაჰქონდათ კოლუმბიაში.



# პენტაგონი იძიებს ერაყის საპყრობილეში მომხდარ მკვლელობათა საქმეებს

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო იძიებს ერაყისა და ავღანეთის საპყრობილეებში ათი პატიმრის დაღუპვასთან დაკავშირებულ საქმეებს. არის ეჭვი, რომ ეს ადამიანები, შესაძლოა, მოკლეს დაკითხვათა დროს.**

როგორც ამერიკელმა სახელმწიფო მოხელეებმა აღიარეს, ამერიკის საპყრობილეებში, საერთო ანგარიშით, სულ ცოტა 37 კაცი დაიღუპა.

აქედან ოცამდე ადამიანის სიკვდილი ახსნეს ბუნებრივი ან „გაურკვეველი“ მიზეზებით.

როგორც გამომძიებლებმა განაცხადეს, კიდევ რამდენიმე კაცის მკვლელობა გამართლებული იყო შექმნილი გარემოებების გამო. ზოგ შემთხვევაში პატიმრები მოკლეს ცეცხლსასროლი იარაღით, როცა ისინი ცდილობდნენ იარაღის ხელში ჩაგდებას ან ამერიკელ ჯარისკაცზე თავდასხმას.

არ არის გამორიცხული, რომ დანარჩენი პატიმრები გახდნენ ციხის ზედამხედველების და გამომძიებლების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი.

ორი კვირის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაცხადეს, რომ იძიებენ 2002 წლის დეკემბრის შემდეგ დაღუპული 25 პატიმრის სიკვდილის მიზეზებს.

ამ ინციდენტთა უმრავლესობა მოხდა ერაყში, თუმცა ზოგი ინციდენტი ავღანეთშიც დაფიქსირდა.

სულ ცოტა ორი პატიმარი დაიღუპა სკანდალურად ცნობილ „აბუ-გრეიბის“ საპყრობილეში.

პენტაგონის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია ახალი სკანდალი ერაყში განლაგებულ ამერიკულ საპყრობილეებში პატიმრების მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო.

ახალი სკანდალი აგორდა მას შემდეგ, რაც პრესაში გამოჩნდა ფოტოსურათები, რომლებზეც ასახული იყო, თუ როგორ აწამებდნენ და ამცირებდნენ ამერიკელი ჯარისკაცები „აბუ-გრეიბის“ საპყრობილის პატიმრებს.

# მოლაპარაკება ფხენიანში

**იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძიუნიტირო კოიძუმიმ ფხენიანში მოლაპარაკება გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერთან კიმ ჩენ ირთან, რომლის შედეგადაც მხარეებმა მიაღწიეს მორიგებას ჩრდილოკორეელი აგენტების მიერ 20 წელზე მეტი ხნის წინათ გატაცებულ იაპონიის მოქალაქეთა ნათესავების პრობლემების გადაჭრის თაობაზე.**

ხუთ იაპონელს, რომლებიც გაიტაცეს და აიძულეს მუშაობა ჩრდილოეთ კორეის დაზვერვის სასარგებლოდ, სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს დაახლოებით ორი წლის წინათ, ფხენიანში კოიძუმის პირველი ვიზიტის შემდეგ.

ამჯერად იაპონიის პრემიერმა მიაღწია ამ იაპონელთა ოჯახების წევრების სამშობლოში დაბრუნების ნებართვის მიღებას. საპასუხო ნაბიჯის სახით, იაპონია ჩრდილოეთ კორეას მნიშვნელოვან ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს.

ფხენიანში ვიზიტის დროს კოიძუმი, აგრეთვე, შეეხო ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხს.

იაპონიის პრემიერის ვიზიტი ჩრდილოეთ კორეაში საკმაოდ მოკრძალებულ ვითარებაში გაიმართა. აეროპორტში არ აღუმართავთ იაპონიის დროშა, არც ორკესტრს შეუსრულებია იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი. კოიძუმის დახვდა მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.





# რატომ ჩაიშალა ექსპედიცია მარსზე?

**კომისიამ, რომელიც იძიებს მარსზე „ბიგლ-2“ ეტსპედიციის ჩაშლის მიზეზებს, გამოიტანა დასკვნა, რომ პროექტის ხელმძღვანელებმა და გამომცდელებმა დაუშვეს მთელი რიგი შეცდომები.**

როგორც ვარაუდობდნენ, „ბიგლ-2“ აპარატი მარსის ზედაპირზე უნდა დაშვებულიყო გასული წლის 25 დეკემბერს, მაგრამ მასთან კონტაქტი დაიკარგა.

მეცნიერებს აპარატისგან არ მიუღიათ არც ერთი რადიოსიგნალი, და ამიტომაც ფიქრობენ, რომ იგი საერთოდ დაიმსხვრა წითელი პლანეტის ზედაპირზე დაჯდომისას.

ევროპის კოსმოსურმა სააგენტომ და ბრიტანეთის ეროვნულმა კოსმოსურმა ცენტრმა შექმნეს კომისია 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად (დაახლოებით 90 მილიონი დოლარი) ღირებული ამ პროექტის ჩაშლის მიზეზების გამოძიებისათვის.

მიმდინარე წლის აპრილში კომისიამ დასკვნები გადასცა ბრიტანეთის მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ლორდ სეინსბერის და ევროპის კოსმოსური სააგენტოს გენერალურ დირექტორს ჟან-ჟაკ დორდენს.

მოხსენებაში არ ფიგურირებს პროექტის ჩაფუშვისათვის კონკრეტულ ბრალეულ პირთა გვარები და მხოლოდ აღნიშნულია, რომ „ბიგლ-2“ აპარატის შექმნა და მისი მომზადება გაფრენისათვის დასრულდა ძალზე მოკლე ვადებში, თუმცა, პროექტის ხელმძღვანელებს არ შეუფასებიათ რისკის დონე.

კომისიის წევრებს არ ჰქონიათ საკმარისი ინფორმაცია, რათა შეეტყო, თუ რა ბედი ეწია აპარატს. ერთადერთი, რაც მათ ხელთ ჰქონდათ, იყო „ბიგლ-2“-ის ფოტოსურათი, რომელიც გადაიღეს მას შემდეგ, რაც იგი გამოეყო „მარს-ექსპრესის“ მატარებელ რაკეტას.

ამერიკული აპარატებისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმატებით დაეშვნენ მარსზე, და, რომელთა დამზადებაც გაცილებით უფრო ძვირი დაჯდა, კონტაქტი ევროპულ აპარატთან მარსის ატმოსფეროში მისი შესვლისა და დაჯდომის მომენტისათვის არ ყოფილა.

„ბიგლ-2“ პროექტის განხორციელება ჩაიფიქრა პროფესორმა კოლინ პილინჯერმა, რომელიც ვარაუდობდა, რომ „მარს-ექსპრესი“ იმოძრავებდა პლანეტის ორბიტაზე, თვით „ბიგლი“ კი დაიწყებდა მარსის ზედაპირზე სიცოცხლის არსებობის ნიშნების ძებნას.

პილინჯერმა თვითონ შეიმუშავა პროექტის ბიზნეს-გეგმა და სცადა სპონსორების მოზიდვა. პროექტის ხელმძღვანელობის გარდა, პროფესორი პილინჯერი ეწეოდა სარეკლამო კამპანიას და ექსპედიციისათვის საჭირო სახსრებსაც აგროვებდა. როგორც ერთ-ერთ სპეციალისტს მიაჩნია, სწორედ ამის გამო მოხდა, რომ პილინჯერმა ვერ დაუთმო მეტი ყურადღება „ბიგლ-2“ აპარატის შექმნასა და გამოცდას.

# საფარმურატ ნიაზოვი ებრძვის საკუთარი პიროვნების კულტს

**თურქმენეთის დედაქალაქის – აშხაბადის მცხოვრებლები გაოგნებული ადევნებდნენ თვალ-ყურს, თუ როგორ ხსნიდნენ ქალაქის ქუჩებში მუშები ქვეყნის პრეზიდენტის, „ყველა თურქმენის მამის“ საფარმურატ ნიაზოვის უზარმაზარ პორტრეტებს.**

როგორც აშხაბადიდან იუწყებიან, ქალაქში მოხსნეს არა მარტო ნიაზოვის რამდენიმე პორტრეტი, არამედ პრეზიდენტის ბრინჯაოს ძეგლიც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მახლობლად იდგა.

თუმცა, იმის არანაირი ნიშანი არ არსებობს, რომ ნიაზოვის ხელისუფლება სუსტდება. მით უმეტეს, რომ ნიაზოვის მთავარი მონუმენტი ქვეყანაში – გიგანტური ოქროს ფიგურა, კვლავ თავის ადგილზე დგას.



რუსეთის ტელევიზიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქმენეთის ლიდერმა, რომლის გამოსახულებები ამშვენებდნენ ქალაქებს, სკოლებს, ქუჩებსა და ქვეყნის ავტომაგისტრალებს, ბრძანა ბოლო მოეღოთ მისი პიროვნების კულტისათვის.

აშხაბადის ხელისუფლება აღნიშნავს, რომ თურქმენბაშიმ გასცა განკარგულება „გაეწმინდათ ქალაქი მისი პორტრეტებისგან“. აშხაბადის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის მოხელემ, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, „ფრანს პრესის“ სააგენტოს განუცხადა, რომ პრეზიდენტის პორტრეტების ნაცვლად, გააკრავენ „პოლიტიკური თემატიკის პლაკატებს“.

თუმცა, თვით ნიაზოვს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია აშხაბადში მიმდინარე მოვლენებზე, როცა საჯაროდ გახსნა ახალი ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი.

თურქმენბაში, რომლის „სისუსტეა“ დიდბრილიანტიანი ბეჭდები და შავი „მერსედესები“, ხელისუფლების სათავეში იმყოფება 1985 წლიდან. ამ დროის განმავლობაში ქვეყანაში გაჩნდა მისი სახელობის თვე, აგრეთვე, ნიაზოვის უამრავი მოოქროვილი ძეგლი, რომლებიც აღმართულია თურქმენეთის სხვადასხვა კუთხეში.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძე.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

# სპორტი

ფეხბურთი

## ახალი ერა

**წლეულს საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება – თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოსაგან“ ესტაფეტა დედაქალაქის „ვიტ ჯორჯიას“ ან ბოლნისის „სიონს“ გადაეცემა. მერაბ კოჭლაშვილის თუ თემურ მახარაძის გაწვრთნილი გუნდი? – ამას 29 მაისს შევიტყობთ, როცა ჩვენს საფეხბურთო სინამდვილეში პირველად გაიმართება დამატებითი, ე.წ. „ოქროს მატჩი“. რაც შეეხება აწ უკვე ყოფილ გვირგვინოსანს, იგი მესამე პრიზიორი გახდა, თუმცა ერთი ტიტულის მოპოვების შანსს ჯერაც ინარჩუნებს – 26 მაისს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალში ქვეყნის საკულტო კლუბი ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვდება და ამ გზით შეეცდება უეფას თასის საგზურის დაუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში „ინტერტოტოზე“ მოუწევს ასპარეზობა. ახლა კი მოკლედ გუშინდელი ბატალიების შესახებ.**

**II ეტაპი. X ტური. I-VI ადგილები.** „თბილისი“ – „სიონი“ 0:1, „ვიტ ჯორჯია“ – „ლოკომოტივი“ 1:0, „დილა“ – „დინამო“ 1:2.

ჩემპიონობის პრეტენდენტთაგან საქმეს პირველნი დინამოელები შეუდგნენ, რომლებიც სწრაფად დაწინაურდნენ გორში – 2:0 პირველივე ტაიმში (მელქაძე, დვალი), თუმცა ისინი, მოგეხსენებათ, მარტო საკუთარ თავზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. მართლაც, მალე თავისი სიტყვა ბოლნისელებმა თქვეს ავლაბარში (გაბისკირია), მეორე ნახევრის დებიუტშივე კი ვეტერინარებმაც მიაღწიეს საწადელს (ინწკირველი). ასე რომ, XV ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი უცვლელი დარჩა – საბოლოო მდგომარეობა: „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“ – 41-41, „დინამო“ – 40, „თბილისი“ – 32, „ლოკომოტივი“ – 24, „დილა“ – 19 ქულა.



**VII-XII ადგილები.** „მერცხალი“ – „მცხეთა“ 2:6, „ტორპედო“ – „სპარტაკი“ 4:3, „ბათუმი“ – „კოლხეთი“ 1:3.

„ტორპედო“ – 37, „კოლხეთი“ – 33, „მცხეთა“ – 31, „ბათუმი“ – 25, „სპარტაკი“ – 21, „მერცხალი“ – 6 ქულა.

**გია პლატონიშვილი.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

კალათბურთი

## აჭარული გაზაფხული



**ვარდების საგაზაფხულო რევოლუცია ბათუმის „ბასკომ“ კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედლებით აღნიშნა.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაბრუნებას განსაკუთრებულ ელფერს ის ფაქტი სძენს, რომ მეოთხე ტიტული მზრუნველთაგან მიტოვებულმა გუნდმა თბილისში მოიპოვა, სადაც „პლეი-ოფი“ სოლიდური მფარველისგან დაპურებულ „დინამოს“ მოუგო – 3:2. ფინალური სერიის დასკვნით მატჩს თამამად შეგვიძლია უტეხი სულის ზეიმი ვუწოდოთ, რადგან იმ ვითარებაში გამარჯვება, რომელიც გულშემატკივრებით გადაჭედილ ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში სუფევდა, შეკრებაგაუვლელ და სხვათა შორის ნავარჯიშევ კლუბს კი არა, გაცილებით მეტი ყურადღებით გარემოსილ კრებულსაც გაუჭირდებოდა. როგორ მოხდა ეს, ქვემოთ შეიტყობთ.



### „ბასკო“ – „დინამო“ 79:69

მასპინძლებმა ყოჩაღად დაიწყეს შეხვედრა და უდავოდ საუკეთესო მოთამაშის ხოშტარიას (მან საბოლოოდ 20 ქულა მოაგროვა, აქედან 18 – ბრძოლის პირველ ნახევარში) ძალისხმევით დაწინაურდნენ კიდეც – 8:3. მალე ბექანიშვილმა ჩააგდო სამქულიანი და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, უკანასკნელად გაიყვანა წინ პარტნიორები – 11:8. აქედან მოყოლებული, ზღვისპირელები საგრძნობ უპირატესობას დაეუფლნენ ფარქვეშ, სადაც დისკვალიფიცირებული კილაძის არყოფნაში ბერძენიშვილმა, როდუმტამ და ტოუჯანმა გაილაღეს. დაუმატეთ ამას ტყუპი ძმების ბერიშვილების, კეშელავასა და ბოისას მიერ საშუალო და შორი მანძილებიდან შესრულებული ზუსტი ტყორცნები და ნათელი გახდება, რატომ იყვნენ სულ მდევრის როლში დრაჟენ ბრაიკოვიჩის შეგირდები. ხორვატმა მწვრთნელმა მდგომარეობის გამოსწორება რამდენიმე ვარიანტით სცადა, მაგრამ პირწმინდად წააგო ტაქტიკური დუელი თავის კოლეგა ნუგზარ კანდელაკთან. ამიტომ სავსებით ლოგიკური გახლდათ, რომ ზედიზედ ცდებოდა მიზანს ჩვენში სნაიპერობით გამორჩეული ქლენტის, გოგობერიშვილის, კეიდიასა და ძმათა მათთა გასროლები. ამ მხრივ გამონაკლისს დროის ის მცირე მონაკვეთი წარმოადგენდა, როცა ლოსაბერიძემ ერთმანეთის მიყოლებით 8 ქულა მიითვალა და თავისიანებს მდევრის როლისათვის თავის დაღწევის იმედები დაუბრუნა, მაგრამ თურმე ეს დინამოელთა უკანასკნელი გაფართხალება ყოფილა – მეტოქის გასატეხად თბილისელებს აღარც ძალა ეყოთ და აღარც ოსტატობა.



### „ბასკო“ – 2004

**დავით, ირაკლი და ბუბა ბერიშვილები, კვიმსაძე, კეშელავა, ანატოლი ბოისა, ბერძენიშვილი, იმნაძე, ტოუჯანი, როდუმტა, ბოლქვაძე, მაისურაძე, ჩხატარაშვილი. მწვრთნელი – ნუგზარ კანდელაკი.**

**გია პლატონიშვილი.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

პრესკონფერენცია

## სეზონის ფინიშზე

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები სეზონს 27 მაისს ისრაელის გუნდთან ამხანაგური მატჩით ხურავს. ეს შეხვედრა „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება.** იმავე დღეს „დინამოზე“ ამ ქვეყნების ახალგაზრდული ლეგიონები 16 საათზე ითამაშებენ. მომავალი ბატალიების შესახებ გუშინ სფფში გამართულ პრესკონფერენციაზე „ჯვაროსანთა“ თავკაცმა ალენ ჟირესმა შემდეგი განაცხადა: „ვინაიდან 26 მაისს ეროვნული თასის ფინალია, არ გამოვიძახეთ კანდიდატები თბილისის „დინამოდან“ და ქუთაისის „ტორპედოდან“. სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნებიან აგრეთვე ნემსაძე, შ. არველაძე, ჯამარაული და დემეტრაძე. გარდა ამისა, სათუოა ტრავმირებული ხიზანიშვილის, დარასელიასა და გვაზავას ჩამოსვლაც. ამ ფონზე მადლობელი ვარ „მილანის“ ხელმძღვანელობის, რომელიც, ჩინური ტურნეს მიუხედავად, კახი კალაძეს უშვებს. მართალია, ამ ბოლო დროს უაღრესად დაძაბული ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე საკვანძო მატჩი გამიცდა, მაგრამ ყველა გამოძახებული ფეხბურთელის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ, საერთოდ კი უპირატესობას ლეგიონერებს მივანიჭებ.



### *ეროვნული ნაკრები*

**ლომაია, დევაძე, მამალაძე, კ. კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, ამისულაშვილი, ქემოკლიძე, ჭიჭვეიშვილი, დიდავა, მჟავანაძე, ასათიანი, დარასელია, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, სირაძე, მუჯირი, მენთეშაშვილი, იაშვილი, ალექსიძე, აშვეთია, გვაზავა.**

**მწვრთნელი – ალენ ჟირესი.**

### *ახალგაზრდული ნაკრები*

**თოთლაძე, ბალაძე, ბობღიაშვილი, ციმაკურიძე, იმედაშვილი, ელიავა, ა. კალაძე, ლომიძე, ჩიკვილაძე, ჭიღლაძე, რაქვიაშვილი, ჭელიძე, ალადაშვილი, ხოჯავა, სამხარაძე, მარცვალაძე, ფიფია, მოდებაძე.**

**მწვრთნელი – გოჩა ტყებუჩავა.**

ჭადრაკი

## დღე პირველი

**გუშინ ელისტაში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. „ნოკაუტსისტემით“ 64 მანდილოსანი იბრძვის მედლებისთვის.** პირველი რაუნდის პირველ ტურში, ფაქტობრივად, ყველა ფავორიტმა მიაღწია წარმატებას. გაუწყებთ ქართველი მოჭადრაკეების შედეგებს: ფარიდა აროჩა – მაია ჩიბურდანიძე 0:1, სოფიო ტყეშელაშვილი – იუჰუა ქსიუ 0,5:0,5. ჯენიფერ შაჰადი – ნანა ძაგნიძე 0:1, ანა მათნაძე – ოლგა ალექსანდროვა – 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი – ნადეჟდა კოსინცევა 1:0, ეკატერინა პოლოვნიკოვა – ნინო ხურციძე 1:0, ირინა სლავინა – მაია ლომინეიშვილი 0,5:0,5, რუსუდან გოლეთიანი – კორინა პეპტანი 0:1, ქეთევან კახიანი – თხი ტან ნგუენი – 0,5:0,5.

დღეს განმეორებითი შეხვედრები გაიმართება.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 117, კვირა, 23 მაისი, 2004 წელი.

## განსჯა

**1997 წლის 9 ივნისს გორში გაიმართა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ შორის. შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, აწ განსვენებულმა მალხაზ კობიაშვილმა, დააფიქსირა რა თბილისელ რკინიგზელთა გამარჯვება ანგარიშით 2 : 1, პირველმა მიულოცა ფეხბურთელებს უმაღლესი ლიგის საგზური. მაშინ გუნდს თავკაცობდა მოთამაშე მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი.**

# აღმართ-დაღმართ მიმავალი „ლოკომოტივი“

ახლა ჩამოვთვალოთ „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელები 1996 წლიდან დღემდე: კობა ჟორჟიკაშვილი, სერგო კოტრიკაძე, თემურ მახარაძე, მურთაზ ხურცილავა, კვლავ თემურ მახარაძე, რეზო ძოძუაშვილი, გივი ნოდია, კახა ცხადაძე, გია ჯიშკარიანი, სერგო კოტრიკაძესა და გია ჯიშკარიანის ტანდემი, სერგო კოტრიკაძე, ზაურ სვანაძე, ლუის ცაკარიასი, რევაზ არველაძე, კვლავ ლუის ცაკარიასი და ზაურ სვანაძე (?!).

1997-98 წლების სეზონის დასაწყისში საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტი თბილისის „ლოკომოტივი“ რვა ტურის შემდეგ ორი ქულით კვლავ ბოლო ადგილზე იმყოფებოდა და განწირული იყო გასავარდნად. სწორედ ამ დროს გუნდს მხსნელად მოევლინა გამოცდილი მწვრთნელი თემურ მახარაძე, რომელმაც სასწაული მოახდინა – „ლოკომოტივი“ 44 ქულით მე-6 ადგილზე გავიდა, ხოლო მომდევნო X ჩემპიონატში რკინიგზელი ფეხბურთელები ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ და უეფას თასის გათამაშების მონაწილენი. კლუბის ხელმძღვანელებმა ჩათვალეს, რომ თემურ მახარაძემ თავისი მისია შეასრულა და გუნდიდან გაუშვეს. მის ნაცვლად გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ლეგენდარული ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა, რომელმაც ამ პოსტზე სულ რაღაც 8 თვე იმუშავა. უეფას თასზე საბერძნეთის ქ. სალონიკის „პაოკთან“ შინ სამარცხვინო მარცხის (0 : 7) შემდეგ „კალისტრატოვიჩმა“ დატოვა გუნდი, ანუ იგი დაითხოვეს. აკაკი ჩხაიძემ და ტარიელ ღვაბერიძემ საშველად კვლავ უხმეს თემურ მახარაძეს... ტრადიცია არ დარღვეულა – ჩემპიონატის დამთავრებისთანავე თ. მახარაძეს კარი მიუხურეს და მის ნაცვლად რეზო ძოძუაშვილი მოიყვანეს... ერთი წლის შემდეგ ისიც თავიდან მოიცილეს. მიზეზი ის იყო, რომ „ლოკომოტივმა“ სახლში 0 : 1 წააგო საქართველოს თასის XI გათამაშების მეოთხედფინალური განმეორებითი მატჩი წყალტუბოს „სამგურალთან“, რომელიც არაფერს წყვეტდა, რადგან რკინიგზელებს სტუმრად ჰქონდათ მოგებული პირველი შეხვედრა 2 : 1; თუმცა თასის წინა გათამაშების ფინალურ მატჩში ძოძუაშვილის „ლოკომოტივმა“ ქუთაისის „ტორპედო“ დაამარცხა და თასთან ერთად უეფას საგზურიც მოიპოვა.

თბილისის „ლოკომოტივის“ ახალ მესაჭედ გივი ნოდია მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ცუდად არ მიდიოდა და კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი იყო მისი მუშაობით, 6 თვის შემდეგ, იგრძნო რა საშიშროება, გივი ნოდია საკუთარი ნებით გაეცალა საქართველოს რკინიგზას.

გადიოდა წლები. იცვლებოდნენ მწვრთნელები. ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ლოკომოტივი“ ერთხელაც ვერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. კლუბის პრეზიდენტის ამბიციები კი ძალზე დიდი იყო. მაგრამ გავიხსენოთ: საქართველოს თასის ორჯერ დაუფლება, ორგზის ვერცხლის პრიზიორობა, ერთხელ ბრინჯაოს მედლები, უეფას თასის გათამაშებებში უსუსური გამოსვლა, გაყიდული თამაშები (?) გამოცდილი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვება, გუნდის ხელახალი დაკომპლექტება... და 2003-04 წლების სეზონის პირველი ეტაპის მონაპოვარი – ზეექვსეულში მოხვედრა, რომელიც „ლოკომოტივმა“ ქუთაისის „ტორპედოს“ და ბათუმის „დინამოს“ წარუმატებლობის ხარჯზე შეძლო.



ალბათ ყოვლად გაუმართლებელი იყო გუნდში გამოუცდელი მწვრთნელის რეზო არველაძის და მისი ასისტენტების – ტყებუჩავასა და ნიკა ჩხეიძის მოწვევა. კიდევ კარგი, რომ ისინი დროზე დაითხოვეს, თორემ დღეს რკინიგზელი ფეხბურთელები, ალბათ, ქვედა ექვსეულის ბინადრები იქნებოდნენ, ფსკერზეც დაეშვებოდნენ და უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხის წინ აღმოჩნდებოდნენ. გაურკვეველი ეროვნების კაცს ანუ ბერძენ-პერუელ გერმანელ ლუის ცაკარიასს, რომელიც „ლოკომოტივში“ ორჯერ მთავარ მწვრთნელად მუშაობდა, არაფერი ღირებული არ შეუქმნია. მანამდე კი კახა ცხადაძეს გამოუცხადეს უნდობლობა და ისიც უმუშევრად დატოვეს.

ძალზე გულდასაწყვეტი იყო, წარსულში ლეგენდარული მეკარის სერგო კოტრიკაძის გუნდიდან გაშვება. ეს მოხდა შარშანწინ. ჯერ იყო და, უეფას თასზე დანიის „კოპენჰაგენთან“ განცდილი მარცხის შემდეგ სერგო კოტრიკაძე გაათავისუფლეს მწვრთნელობიდან და მეკარეთა მწვრთნელად შემორჩა. მისი გაწვრთნილი გიორგი ლომაია და მანუჩარ ივარდავა კი საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდა ნაკრებების ძირითადი მეკარეები გახდნენ. მე-14 ჩემპიონატი ახალი დაწყებული იყო, როცა „ლოკომოტივი“ საკუთარ მოედანზე მოულოდნელად დამარცხდა ბათუმის „დინამოსთან“, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ბატონი სერგოსთვის, სხვებთან ერთად იგი გუნდიდან დაითხოვეს. ვფიქრობ, ეს იყო აკაკი ჩხაიძის უდიდესი შეცდომა, რაც უმეცრების ტოლფასია. ასე გაწირეს უწესიერესი და უპატიოსნესი კაცი, რომელიც ქართული ფეხბურთის სინდისად არის აღიარებული. იგი, ბუნებრივია, არავითარ გარიგებებში არ მონაწილეობდა.

სერგო კოტრიკაძის და გია ჯიშკარიანის ერთად მთავარ მწვრთნელებად მუშაობის დროს „ლოკომოტივს“ თამაში არ წაუგია. რკინიგზელები დაეუფლნენ დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასს და სულ ცოტა დააკლდათ, ჩემპიონები გამხდარიყვნენ. ეს იყო კლუბის ყველაზე მაღალი შედეგი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში.

2001 წლის მიწურულს საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მეკარეს, 1964 წლის 18 ნოემბრის ტაშკენტის „ოქროს“ მატჩის ერთ-ერთ გმირს სერგო კოტრიკაძეს ქვემო კიდურების სისხლძარღვთა ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში. მაშინ მას დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს რკინიგზის მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ. მაგრამ, ვაი რომ ამ სიკეთის პარალელურად ბატონ სერგოს ცხვირიდან ძმარი ადინეს. ასე ატკინეს გული თემურ მახარაძესაც... ისე, როგორც ანდრო ჟორდანიას, ბორის პაიჭაძეს, მიშა მესხს, ნოდარ ახალკაცს, სლავა მეტრეველს, მიშა ქორქიას, მანუჩარ მაჩაიძეს, ანზორ ლექავას, გივი ჩოხელს, ეროსი მანჯგალაძეს, თენგიზ ჩანტლაძეს...

ლუის ცაკარიასის მიერ დასუსტებულ „ლოკომოტივს“ დღეს ზაურ სვანაძე უდგას სათავეში. საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გუნდმა ორჯერ ფრედ ითამაშა თბილისის „დინამოსთან“. რომ არა ფიფას არბიტრის მერაბ მალაღურაძის „დამსახურება“, „ლოკომოტივი“ საქართველოს თასისთვის ბრძოლას გააგრძელებდა.

მთავარ მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ ჩემპიონის ტიტული ვერ არგუნა რკინიგზელთა გუნდს. ვფიქრობ, უპრიანია ვაცალოთ მუშაობა ზაურ სვანაძეს – ჩხაიძისეული მძიმე შეცდომები არ უნდა განმეორდეს. იმედია, ზაური გააგრძელებს მუშაობას და მომავალ ჩემპიონატში „ლოკომოტივი“ კვლავ გაახარებს თავის გულშემატკივრებს.

24 აპრილს „დინამოსთან“ მატჩის დროს, თამაშის მიწურულს არბიტრმა ალექსანდრე შილაკაძემ სათადარიგო სკამიდან გააძევა „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი, რომელსაც წითელი ბარათი უჩვენა, თუმცა, თავმდაბალმა და მშვიდმა ზაურ სვანაძემ მატჩის შემდგომ შილაკაძეს ბოდიშიც მოუხადა.

ა. შილაკაძე რკინიგზელის შვილია. რაც კი მახსოვს, იგი ყოველთვის აგრესიულია „ლოკომოტივის“ მიმართ, დაუნდობელია მაინცდამაინც რკინიგზელებთან. მამამისი ვალიკო შილაკაძე თავის დროზე მსაჯობდა საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს და ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯის სახელი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. დიდებული კაცია ვალიკო, სალმიანი და ყურადღებიანი, შვილისა კი რა მოგახსენოთ.

ჩემი წერილის ბოლოს ვიტყვი, რომ „ლოკომოტივის“ მიერ დაკავებული მე-5 ადგილი ვერავითარი ნუგეშია ამ პოპულარული გუნდისათვის, რომელიც 70 წლის ისტორიას ითვლის. მას არაერთი შთამბეჭდავი გამარჯვება მოუპოვებია ყოფილ საკავშირო და საქართველოს ჩემპიონატებში.

მომავალ ჩემპიონატში წარმატებები მინდა ვუსურვო თბილისის „ლოკომოტივს“, რომელიც აგრძელებს გრძელი გზის აღმართ-დაღმართში სვლას.

**ვაჟა ჭიაურელი.**

## ყოველი მხრიდან

### ფიფა – დოპინგის წინააღმდეგ

**მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) გადაწყვიტა, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე არ დაუშვებდა იმ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს, ვინც არ შეუერთდებოდა მსოფლიო დოპინგსაწინააღმდეგო კოდექსს, პარასკევს ფიფამ სასწრაფოდ მოაწერა WADA-ს ამ დოკუმენტს.**



ფეხბურთში დოპინგთან ბრძოლის დაწყების ამ აქტს ხელი მოაწერეს ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელმა დიკ პაუნდმა. ცერემონიალში მონაწილეობდა სოკის პრეზიდენტი ჟაკ როგე.

„ეს უდიდესი დღეა მთელი სპორტისთვისაც და დოპინგთან ბრძოლაშიც“, – განაცხადა დიკ პაუნდმა.

ფიფა 27-ე საერთაშორისო ორგანიზაციაა 28-დან, ვინც ამ აქტს მიუერთდა. ზაფხულის ოლიმპიადაში მონაწილეთაგან მხოლოდველოსპორტის საერთაშორისო კავშირი ამბობს უარს მასზე ხელმოწერაზე.

### ევერესტზე – სარეკორდო დროში

**ნეპალელმა პროფესიონალმა გამცილებელმა პემბა დორჯ შერპამ ევერესტზე ასვლის ახალი რეკორდი დაამყარა – ის პლანეტის უმაღლეს მწვერვალზე 8 საათსა და 10 წუთში ავიდა და ძველი მიღწევა 2 საათზე მეტით გააუმჯობესა.**



ახალი რეკორდისთვის სამზადისი, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ შარშან, მაისში, ევერესტის პირველი დაპყრობის 50 წლისთავის დღეებში დაიწყო. მაშინ პემბა დორჟი და მეორე სახელგანთქმული ნეპალელი მთამსვლელი ლაკრა გელი შეეჯიბრნენ ერთმანეთს მწვერვალის სწრაფ დაპყრობაში.

23 მაისს პემბა დორჟი ევერესტზე 12 საათსა და 45 წუთში ავიდა, სამი დღის შემდეგ კი ლაკრა გელიმ ამას 10 საათი და 56 წუთი მოანდომა. თუმც პემბა დორჟმა სახალხოდ შეიტანა ამაში ეჭვი. ნეპალის ტურიზმის სამინისტრომ გამოიკვლია ეს და ოფიციალურად დაადასტურა ლაკრა გელის რეკორდი. ახლა წინ პემბა დორჟი გაიჭრა.

ორშაბათს კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე. ვეტერანმა მთამსვლელმა აპპა შერპამ მარტოდმარტომ მეთოთხმეტეჯერ დაიპყრო ის.

შეგახსენებთ, რომ 1953 წლიდან 8850-მეტრიან მწვერვალზე უკვე 1372 ადამიანი ავიდა, 241 მთამსვლელმა ეს რამდენჯერმე მოახერხა. ევერესტთან ბრძოლაში 200-მდე ალპინისტი დაიღუპა. როგორც გუშინ გაცნობეთ, ევერესტის ბოლო მსხვერპლი იყო 63 წლის იაპონელი ქალი სიოკო ოტა, რომელიც მწვერვალიდან დაბრუნებისას სამშაბათს დაიღუპა.

### შიშველ სტუდენტთა რეკორდი

**ეს მსოფლიო რეკორდი პარასკევს ინგლისის 15 უნივერსიტეტის 100-ზე მეტმა გაშიშვლებულმა სტუდენტმა ქალიშვილმა დაამყარა საშინელებით აღსავსე „ამერიკულ გორაკებზე“ მოგზაურობით.**

ატრაქციონი Nemesis Inferno 750-მეტრიანი სახიფათო გზაა რამდენიმე 360-გრადუსიანი მარყუჟით. ამ ატრაქციონზე ადამიანები 4,5-ჯერ უფრო მეტ გრავიტაციას განიცდიან, ვიდრე დედამიწაზე.

ასეთი უსირცხვილო რეკორდებით გოგონებს ფულის გაკეთება უნდოდათ, Thorpe პარკის ხელმძღვანელები 1100 გირვანქის გადახდას დაპირდნენ იმ უნივერსიტეტს, ვისი სტუდენტი ქალიშვილების ფოტოსურათები უკეთესად გასაღდებოდა.

ყველაფერი ეს კი პარკის 25 წლისთავს მიეძღვნა. გაშიშვლებული და აკივლებული ქალიშვილების ზევითქვევით „მოგზაურობას“ თვალს ადევნებდნენ გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები.

ეს პიკანტური რეკორდი დამსვენებლებისთვის პარკის გახსნამდე მოეწყო, რათა პატარებსა და მათ მშობლებსაც, განსაკუთრებით მამაკაცებს, ასე უხამსი რამ არ ენახათ.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჭიდაობა

# ბედინიდისი — ქართველი „მამლუქი“ საბერძნეთში





**ამას წინათ თბილისის ფალავანთა კლუბში ქართველ ოლიმპიელთა წვრთნას დავესწარი. მათთან ერთად ვარჯიშობდა ემზარიოს ბედინიდისი — ჩვენი ემზარ ბედინეიშვილი, რომელიც ახლა ელადელთა სპორტულ ღირსებას იცავს.**

ემზარი 29 წლისაა. ჭიდაობის საიდუმლოებებს 1985 წელს თბილისში პაატა კეკელიძის ხელმძღვანელობით ეზიარა. სხვადასხვა დროს თენგიზ ღამბაშიძე და კობა ლოჩოშვილი ავარჯიშებდნენ. ქართველმა ფალავანმა 1998-1999 წლების ევროპის ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, 2000 წელს კი კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა. შარშანწინ საბერძნეთში წავიდა ბედის საძიებლად. მალევე დაიმკვიდრა ადგილი იქაურ ნაკრებში და წლეულს ევროპის ჩემპიონატზე კვლავ მესამე ადგილი დაიკავა, თბილისში ჩამოსვლამდე კი გერმანიის თასი მოიპოვა — ფინალში ოლიმპიურ ჩემპიონს ლაიპოლდს 5 : 0 სძლია.

— მონდომებით ვემზადები ათენის თამაშებისთვის, — მითხრა ემზარმა. — ისეთ სპორტულ ფორმაში ვარ, კვარცხლბეკს მიღმა არ უნდა დავრჩე.

**— საქართველოში საკმაოდ წარმატებული კარიერა გქონდა, რამ განაპირობა შენი საბერძნეთში გადასვლა? ხომ არ გაწყენინეს?**

— არავითარი წყენა. ჩემი სურვილით წავედი. მოგეხსენებათ საქართველოში ეკონომიკის მდგომარეობა. მე კი, ფაქტობრივად, ვეტერანად ვითვლები. ჭიდაობას თავს რომ დავანებებ, რითი ვარჩინო ცოლ-შვილი, თუ რაღაც კაპიტალი არ დავაგროვე. ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი, ხელზე 7800 ლარი მივიღე. წლევანდელი პრიზიორობისთვის კი საბერძნეთში 25 ათას ევროს მომცემენ. ხომ არის განსხვავება? ოლიმპიადაზე რვა საუკეთესოში თუ მოვხვდები, ისეთ პენსიას დამინიშნავენ, მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი ვიქნები. ვიცი, ზოგიერთები იტყვიან, საქართველო ფულზე გაცვალაო. არ არის მართალი. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ლამის მესამედი ხომ უცხოეთშია გადახვეწილი საარსებო საშუალებების საშოვნელად. ზოგი ბიზნესმენობს, ზოგი... ვის როგორ შეუძლია, ისე ირჩენს თავს...

**— როგორც ვატყობ, კოლეგებთან და მწვრთნელებთან მეგობრული ურთიერთობა შეგინარჩუნებია.**

— რა დამავიწყებს ჩემს პირველ დამკვალიანებელს პაატა კეკელიძეს, ან თენგიზ ღამბაშიძესა და კობა ლოჩოშვილს. წლეულს თურქეთში ევროპის ჩემპიონატზე ბატონი გია გალდავა გვერდიდან არ მომშორებია მთელი შეჯიბრების განმავლობაში, მამხნევებდა, რჩევებს მაძლევდა. ჩემი ბრინჯაოს მედალი მისი დამსახურებაც არის. ახლაც ფალავანთა კლუბში ყურადღებას არ მაკლებენ. ამ თანადგომას და გულისხმიერებას არასდროს დავივიწყებ.

**— საბერძნეთში მრავლად არიან ქართველი სპორტსმენები?**

— საკმაოდ. მარტო თავისუფალ ჭიდაობაში ოთხნი ვართ ნაკრების კანდიდატები — მე, ვალერი კოღუაშვილი, ბესიკ ასლანიშვილი და დავით მგელაძე. ვალერი და ბესო ერთ წონაში ჭიდაობენ, ამიტომ ოლიმპიადის წინ მათ შორის შესარჩევი შეხვედრა გაიმართება. სხვა სახეობებშიც არიან ქართველები, მაგალითად, ბერძნულ-რომაულში, ძიუდოში. აი, ახლახან ძიუდოისტი ჯარჯი ზვიადაური ევროპის ჩემპიონი გახდა და ოლიმპიადაზეც ფავორიტი იქნება თავის წონაში. მეოთხე ოლიმპიური ოქროსთვის ემზადება ძალოსანი კახი კახიაშვილი. მთელი საბერძნეთი მისი გულშემატკივარია. ქვეყანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საქართველოდან ჩასულ სპორტსმენებს, უბრალო ადამიანებსაც ეხმარება. მეც არაერთხელ მიგრძვნია მისი თანადგომა. მჯერა, რომ კახი მეოთხედაც გახდება ჩემპიონი.

**— შენ თავად რას აპირებ?**

— ოლიმპიური დევიზი — მთავარი მონაწილეობააო, ერთხელ უკვე გამოვცადე სიდნეიში. წლეულს კი, როგორც მასპინძელთა გუნდის წევრს, მაყურებლებისგან ქომაგობა არ მომაკლდება, თან უწინდელივით მსაჯებიც ვერ დამჩაგრავენ, ამიტომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, ალბათ, ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ავალ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: ემზარიოს ბედინიდისი გერმანიის თასით; ქართველმა „მამლუქმა“ ეს-ეს არის გერმანელ ოლიმპიურ ჩემპიონს ლაიპოლდს სძლია.**

ბატუტზე ხტომა

# ახალგაზრდობა იმარჯვებს



**ბულგარეთის დედაქალაქი სოფია 5-12 ივნისს ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში უფროსების პარალელურად ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. ევროპული ტურნირისთვის მზადებას მიეძღვნა საქართველოს ჩემპიონატი და თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სკოლის ღია პირველობა, რომელიც ამას წინათ გაიმართა. მედლებისთვის 50 სპორტსმენი იბრძოდა. მათ შორის არ ყოფილა ჩვენი სახელოვანი ბატუტისტი რუსუდან ხოფერია, რომელიც ტრავმას იშუშებს.**

გოგონათა შორის ინდივიდუალურ ხტომებში ტოლი არ ჰყავდა 14 წლის ლუბა გოლოვინას, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა სოფიო გულიაშვილი. მესამე იყო ნანა ღუჭაშვილი. ვაჟებში ჩემპიონობა არავის დაუთმო 17 წლის თენგიზ კოშკაძემ (ყველა — თბილისი). მეორე ადგილი ბათუმელ ზურაბ ჭყონიას ხვდა. მესამე ადგილზე თბილისელი ოლეგ კოლოსოვი გავიდა. სინქრონულ ხტომებში პირველები იყვნენ გოლოვინა-ღუჭაშვილი და გიორგი ფუტკარაძე-არჩილ მაკალათია.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა გვითხრა, რომ სოფიაში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სპორტულ ღირსებას რუსუდან ხოფერია, სოფიო გულიაშვილი, ზურაბ ჭყონია და ოლეგ კოლოსოვი დაიცავენ, ხოლო ევროპის პირველობაზე ლუბა გოლოვინა, ნანა ღუჭაშვილი და თენგიზ კოშკაძე იასპარეზებენ.

**გიორგი გაგუა.**

**სურათებზე: ლუბა გოლოვინა; თენგიზ კოშკაძე ზაურ სულაშვილთან ერთად.**



ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

**დარბაზში — ტყუპები** **V ნაწილი**



**დღეს ვამთავრებთ ვარჯიშების დემონსტრირებას თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის არქიტექტურის სპეციალობის IV კურსის სტუდენტების, 20 წლის ტყუპი ძმების, ერთ დროს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეების შალვა და ზურაბ სიყმაშვილების შესრულებით. ამჟამად ისინი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის დარბაზში ოსტატდებიან სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი დისციპლინაში — ძალისმიერ სამჭიდში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნიკოლოზ სარალიძის ხელმძღვანელობით.**

ამჯერად ძმები ტრენაჟორებზე ვარჯიშებს გვთავაზობენ (შალვა — **სურ. 5,** ზურაბი — **სურ. 1, 2, 3, 4**).

1. **ტრენაჟორის ღერძის აჭიმვა განიერი ჭიდით (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

2. **ტრენაჟორის სამხრეების აწევა განმკლავით (სურ. 2, 3).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

3. **ტრენაჟორის ღერძის მოზიდვა სხეულთან შეხებამდე (სურ. 4).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

აღნიშნული ვარჯიშები ავითარებს მხრის დელტისებრ კუნთებს: I — ზედა კონებს, II — გვერდითა კონებს, III — წინა კონებს.

4. **ტრენაჟორის სახელურების ერთმანეთთან მიტანა მკერდის წინ (სურ. 5).** ავითარებს მკერდის დიდ კუნთებს. სრულდება 8 მისვლა 12-12 გამეორებით.









**ზურაბ ჭავჭანიძე.**
ჯავარ ლომაძის ფოტო.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 117, კვირა, 23 მაისი, 2004 წელი.

ლეგენდა




**ჟან ბაბენის სახელი და დიდება XX საუკუნეში დარჩა. ახალ საუკუნეს კი მემკვიდრეობით ერგო მხოლოდ ლეგენდა ამ ადამიანზე. დიახ, ლეგენდა ადამიანზე და არა გენიალურ მსახიობზე.**

მისი სახელი, ალბათ, ბევრისმთქმელი არ არის თანამედროვე მასობრივი მაყურებლისთვის. ისევე როგორც, ის ფილმები, რომლებშიც მას უთამაშია: „დიდი ილუზია“, „ნისლების სანაპირო“, „დღე იწყება“, „მალაპაგის კედლებთან“, „ძლიერნი ამა ქვეყნისა“, „მელოდია სარდაფიდან“ და სხვა.

მეორე მხრივ კი, თუ კინემატოგრაფს ცალკე ცივილიზაციად მივიჩნევთ, ფილმები, რომლებშიც მონაწილეობდა ეს მსახიობი, ცალკე და, მნიშვნელოვანწილად, სუვერენული ტერიტორიაა – ჟან გაბენის სახელობის კინემატოგრაფი. მიღებულია, რომ იმ კინომსახიობებზე, რომლებმაც მიაღწიეს დიდ წარმატებას თავიანთ საქმიანობაში, აღფრთოვანებით წამოვიძახებთ ხოლმე: „რა მსახიობია!!!“ ასეთი საზომით გაბენს ვერ მივუდგებით. თუმცა, ეს შეიძლება გამოვიყენოთ, როცა ვსაუბრობთ ისეთ კორიფეებზე, როგორიც არის ლოურენს ოლივიე, მარჩელო მასტროიანი, სმოკტუნოვსკი და სხვები.

ჟან გაბენი, ჟან მარე, ჟერარ ფილიპი, ჰემფრი ბოგარტი, მარლონ ბრანდო, ჰარი კუპერი, გრეტა გარბო, მარლენ დიტრიხი, – ესენი უკვე სულ სხვა რანგის მსახიობები არიან. ეს უკვე არა მსახიობების, არამედ მითებისა და ფოლკლორის გმირების სახელებია. მათ სახელებში ხომ აისახა კოლექტიური წარმოდგენა და ოცნება სიკეთეზე, ვაჟკაცობაზე, მომხიბვლელობასა და სილამაზეზე, ღირსებაზე, სამართლიანობაზე, სიცოცხლისა და ბედნიერებისადმი ლტოლვაზე...

კინო ხელოვნების ყველა სხვა დარგზე მეტად ახლოა მითთამთხზველობასთან. აქ არის როგორც ოლიმპო, ისე ამ მითური მთის ძირი, არის, აგრეთვე, ტარტარი – დაცემული ღმერთების სასუფეველი. ეს მითოლოგიური სამყარო დასახლებულია უკვდავი ღმერთებით და მოკვდავი გმირებით. ჩვენ, მაყურებელი, ხშირად ვერც კი ვიგებთ, თუ რომელ სამყაროში ვცხოვრობთ. თვით ისინიც, ჩვენი კერპები, ყოველთვის როდი გარკვეულან იმაში, თუ სამყაროს რომელ მხარეს იმყოფებიან. ჩვენს გვერდით არიან, თუ ღრუბლებზე მაღლა ატყორცნილ ოლიმპოს მწვერვალზე? ალბათ, აქაც და იქაც – ამ შესანიშნავი მითური სამყაროს ორივე მხარეს.

... ჟან გაბენის ნამდვილი სახელი ჟან ალექსის მონკორჟე გახლავთ. დაიბადა იგი გასული საუკუნის გარიჟრაჟზე – 1904 წლის 17 მაისს და ამის თქმა დაბეჯითებით შეგვიძლია, იშვა იგი არა ცაში, არამედ დედამიწაზე – პარიზის მუშათა გარეუბანში, ერთ ღარიბ ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა. ჟან ალექსისს მსახიობის კარიერაზე არასდროს უოცნებია, არანაირი სპეციალური განათლება არ მიუღია. ჯერ იყო და, გზის ხელოსნად მუშაობდა, ქარგლად ქარხანაში, დაბოლოს, მოსინჯა თავისი ძალები კაბარეში (სწორედ მაშინ მოიგონა კიდეც თავისთვის ფსევდონიმი – ჟან გაბენი). შემდეგ მსახურობდა ფლოტში. დემობილიზებისთანავე იგი ესტრადას დაუბრუნდა, სადაც კიდევ გამოდიოდა გარკვეული დროის განმავლობაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არასდროს მოუპოვებია ფართო მსმენელის და მაყურებლის დიდი აღიარება. მაგრამ, ამ ახალგაზრდა კაცს ყურადღება მიაპყრეს კინემატოგრაფისტებმა. მისი დებიუტი შედგა ფილმში, რომელსაც წინასწარმეტყველური სახელი ჰქონდა: „ყველას შეიძლება გაუმართლოს“. თუმცა, ეს ახალგაზრდა არ იყო ისეთი, როგორც „ყველა“. იგი განსაკუთრებული იყო. და ჯერ კიდევ საკითხავია, ვის უფრო მეტად გაუღიმა ბედმა – თითქმის უცნობ მოცეკვავეს კაბარედან, თუ სახელგანთქმულ რეჟისორებს დიუვილიეს, რენუარს, და კარნეს...



„დიდი ილუზიების“ შემქმნელმა ჟან რენუარმა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იღებდნენ ფილმს „ფსკერზე“ გორკის პიესის მიხედვით, რომელშიც გაბენმა შეასრულა ქურდ ვასკა პეპელის როლი, შენიშნა, რომ ამ ახალგაზრდა მსახიობს შეუძლია აუღელვებელი სახის ოდნავშესამჩნევი მიმიკითაც კი გადმოსცეს უდიდესი გრძნობები. სხვა რეჟისორები და მსახიობები, რომლებსაც მოუწიათ გაბენთან თანამშრომლობა, ასევე გაოგნებული იყვნენ იმით, რომ ამ ადამიანს შეეძლო განსაკუთრებული ძალისხმევითა და ყოველგვარი სპეციალური მომზადების გარეშე შესულიყო და გამოსულიყო როლიდან. გადაღებებს შორის შესვენებებზე, სანამ ამონტაჟებდნენ განათებას, მას გაუთავებლად შეეძლო ელაპარაკა მსახიობებთან ათას თემაზე, მაგრამ, როგორც კი ყველაფერი მზად იყო, დადგებოდა კამერის წინ და მუშაობდა, ხოლო მაშინ, როცა გაისმოდა რეჟისორის ბრძანება „სდექ!“, მას კვლავ შეეძლო გაეგრძელებინა საუბარი დაწყებულ თემაზე.

ეს, არსებითად, მსახიობობა კი არა, სხვა, უფრო მაღალი განზომილება იყო. ალბათ, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად ამანაც განაპირობა ის, რომ მას არ სჭირდებოდა განსაკუთრებით მომგებიანი მრავალპლანიანი როლები, რომლებშიც დეტალურად იქნებოდა აღწერილი ფსიქოლოგიური ნიუანსებით. მისთვის საკმარისი იყო ის არასტანდარტული სიტუაცია, რომელშიც მისი გმირი ხვდებოდა ხოლმე, დანარჩენს კი ამ ადამიანის „აუღელვებელი სახე“ აკეთებდა. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ ჟან გაბენი გადაიღეს უამრავ, ასე ვთქვათ „მდარე ხარისხის“ ფილმში. ჩვენს კინოგაქირავებაში მოხვდა უკვე ომისშემდგომი ფილმები მისი მონაწილეობით: „ცის ქუხილი“, „პრერის ქუჩა“, „მელოდია სარდაფიდან“. ალბათ, ახლა, სტაჟიან მაყურებელსაც კი გაუჭირდება იმის გახსენება, თუ რა ხდებოდა იმ ფილმებში, როგორი იყო მათი სიუჟეტური ხლართი, ინტრიგა, რითი დასრულდა საქმე. მაგრამ, ალბათ, არავის დაავიწყდება უკვე არცთუ ისე ახალგაზრდა ჟან გაბენის სახის გამომეტყველება და პლასტიკა. ჟესტების სიძუნწის, ერთი შეხედვით, გაყინული მზერის მიუხედავად, ამ ადამიანში იკითხებოდა ნაზი გრძნობები იმათ მიმართ, ვინც უყვარდა, და ასეთივე ფარული სიძულვილი იმ ადამიანებისადმი, რომელთა ატანაც მას არ შეეძლო.



ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, პირველ და მეორე მსოფლიოს ომებს შუა პერიოდში, როცა ყველაფერი ასე არასაიმედო და სუსტი იყო, როცა რომანტიკული განწყობილება გახუნდა, როცა უადგილო და ზედმეტად ჩანდა მომავლის მტკიცე რწმენა, ჟან გაბენი როლიდან როლამდე ასხამდა ხორცს საკუთარ თავსა და საკუთარ ძალებში მტკიცედ დარწმუნებული ადამიანის სახეს. და იგი ასეთად რჩებოდა, ნებისმიერ როლში: მაწანწალა ვასკა პეპელი იქნებოდა ეს, ორთქმავლის მემანქანე, კეთილშობილი განგსტერი, კირკიტა დეტექტივი, უმწეო ფერმერი თუ, უკვე დაბერებული ლელომრბოლელი...

სრულიად მოულოდნელად, „დიდი ილუზია“ გაბენისათვის თითქმის ზღაპრულ რეალობად იქცა. ფილმში მისი გმირი გარბის გერმანელთა ტყვეობიდან (მოქმედება ხდება პირველი მსოფლიო ომის წლებში) და დროებით აფარებს თავს ერთი გერმანელი გლეხი ქალის სახლს. ეს ორი ადამიანი ერთმანეთს დაუკავშირა ბედმა, გრძნობებმა. მაგრამ, მათგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, განშორება გარდუვალი იყო.

ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გაბენს მოუწევდა შეერთებულ შტატებში გაქცევა ნაცისტების მიერ ოკუპირებული საფრანგეთიდან, სადაც იგი შეხვდებოდა ნაცისტური გერმანიიდან გამოქცეულ დიდ გერმანელ მსახიობს მარლენ დიტრიხს. ამ ორ ადამიანს დააკავშირებს ბედი, დააკავშირებს გრძნობები. მოგვიანებით, მარლენ დიტრიხი თავის მოგონებებში აღწერს, თუ როგორ უსმენდა ჟან გაბენთან ერთად რადიოთი შარლ დე გოლის გამოსვლას, რომელიც მოუწოდებდა ფრანგებს, შეევსოთ ჩრდილოეთ აფრიკაში წინააღმდეგობის არმიის რიგები, როგორ გააცილა მან იგი ომში. ომის დროს იგი ტანკისტი იყო და დაჯილდოვდა ორი საბრძოლო ორდენით.

ეს ისტორია რაღაცით მოგვაგონებს მეორე ფრანგი რომანტიკოსის – პოეტისა და მფრინავის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ამბავს, ამბავს კაცისას, რომელსაც უყვარდა ცაში, ღრუბლებში ფრენა, და კიდევ უფრო მეტად უყვარდა – დედამიწაზე დაბრუნება. თუმცა, ერთხელ ვეღარ დაბრუნდა.

მაგრამ ჟან გაბენი დაბრუნდა. შეხვედრა მარლენთან ბედნიერი იყო. მათ ერთადაც მოასწრეს გადაღება ფილმში „მარტინ რუმანიაკში“. თუმცა, ფილმს დიდი წარმატება ვერ ხვდა წილად და ეს ორი ადამიანი ერთმანეთს დაშორდა.

ორივე ვარსკვლავი იყო, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი ტრაექტორია კინემატოგრაფიულ ცის კაბადონზე და ცხოვრების გზაზე.

ჟან გაბენი 1976 წელს გარდაიცვალა. იგი სიცოცხლეშივე იქცა მსოფლიო კინემატოგრაფის ლეგენდად.

**იური ბოგომოლოვი,**
**„ოგონიოკი“,**
**2004 წლის 17-23 მაისი.**

გამოიცა

# რატომ 33?!

## კატულუსის პოეზია ქართულად

***ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ცხოვრობდა ვერონელი პოეტი გაიუს ვალერიუს კატულუსი, რომლის პოეზია ქართულად ააჟღერა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მანანა ღარიბაშვილმა – წიგნის სათაურია: 33 ლექსი!***

**– რატომ 33?!**

– რაც ძალიან მომეწონა, – მოკლედ პასუხობს მთარგმნელი, რომლისთვისაც ოვიდიუსის და ბერძნული მითოლოგიის შემდეგ კატულუსის პოეზია იქცა შთაგონების წყაროდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი პროგრამა „ლოგოსი“ (რედაქტორი – ია გაგუა, რეცენზენტები – ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა ტონია, გარეკანის დიზაინი – ბესიკ დანელიასი).

აი, რას წერს ქალბატონი მანანა შესავალ წერილში, „ლირიკაც, ისევე, როგორც ყველაფერი ამქვეყნად დროთა განმავლობაში ცვდება, ხუნდება, სილამაზისგან იძარცვება. ოდესღაც დიდებული სახელები ახლა ანთოლოგიებსღა შეფარებიან, საიდანაც სევდიანად ამოანათებს ხოლმე ერთი ან ორი ჯერ ისევ ცოცხლად გადარჩენილი სტრიქონი. მაგრამ დრო ალაგ-ალაგ იშვიათ გამონაკლისსაც უშვებს, ზოგიერთ ლირიკოსს არნახული სიცოცხლისუნარიანობა მიემადლება. ერთი შეხედვით უბრალო და უპრეტენზიო ლექსებიდან თითქოს ჩვენი თანამედროვე გველაპარაკება და უცნაურია, მაგრამ სიძველის სურნელი მათ უშუალობას კიდევ მეტი ძალით განგვაცდევინებს“.

... მისი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერი ვიცითო, – გულისტკივილით ამბობს მთარგმნელი და მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ლექსების მიხედვით აკოწიწებს პოეტის ცხოვრებისეულ დეტალებს. რომაელი ისტორიკოსების ცნობით კატულუსი უნდა გარდაცვლილიყო საკმაოდ ახალგაზრდა – ორმოც წელს არმიტანებული!

სწორედ ეს ახალგაზრდული ჟინი და პათეტიკა იზიდავს მთარგმნელს, როცა აქართულებს ანუ აცოცხლებს აწ უკვე მკვდარი ლათინური ენიდან არანაკლებ ძველ, მაგრამ XXI საუკუნეშიც სიცოცხლისუნარიან ენაზე იმ ჭაბუკის შემოქმედებას, რომელიც „ნეოტერიკოსების“ ანუ რომაელ პოეტთა ხმაურიანი წრის – „ახალი პოეტების“ წევრი ყოფილა.

**– რას ნიშნავს „ნეოტერიკოსები“?!**

– ახლებურად ეს მოდერნისტობას გულისხმობს, რაც იმდროინდელ რომში ციცერონის მხრივ აგდებული დამოკიდებულების მიუხედავად, ლიტერატურული საზოგადოების ყურადღებას და საკმაო პოპულარობას იმსახურებს.

**– მაინც რითი გამოირჩევა კატულუსის შემოქმედება წინამორბედებისგან?**

პასუხი ამაზე ლაკონური და დამაჯერებელია:

იხ. მე-12 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

შემოქმედი

# ლელა წურწუმია: ძლივს გავბედე ჩვენს უძვირფასეს განძთან მიახლოება

(პირველი გვერდიდან)

**— შემოქმედს, რომელსაც არ ძალუძს, ჩაწვდეს დროის ესთეტიკურ ინტერესებს, შესაძლოა ინფორმაციულ ვაკუუმში ჩაიკეტოს, ან უვიცობის მსხვერპლად მოგვევლინოს. საერთოდ, რა პროცესებიც მიმდინარეობს ქვეყანაში, იგივე აირეკლება მუსიკალურ აზროვნებაში... ადამიანზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს მუსიკა და თანაც დაუკითხავად — შედის ყურში, გაივლის აღქმის და გრძნობის რეცეპტორებს და მივა გულთან. აქედან წარმოიქმნება გემოვნება, განწყობილება და ემოცია... ფიქრი განსაზღვრავს მუსიკის სიღრმეს, სიღრმე — ინტელექტუალურ მუსიკას და ამ მუსიკის შემსრულებელი კი — მის სიცოცხლეს.**

**თქვენ რა პასუხისმგებლობას, ან, თუნდაც, რა ვალდებულებას გრძნობთ, როდესაც ჯერ კიდევ, სიმღერის პარტიტურას ეხებით?**

— საერთოდ, პასუხისმგებლობას განაპირობებს და კიდეც ამძაფრებს საქმისადმი დამოკიდებულება, ასევე სწორი ორიენტაცია, ინტუიცია და... სიყვარული. შემოქმედებაში გაცემული ენერგია ბუმერანგივით უკანვე ბრუნდება — არა აქვს მნიშვნელობა: დადებითი თუ უარყოფითი. სიმღერა ჩემთვის უბრალო თვითმიზანი ან თუნდაც, ახირება სულაც არ არის. საკუთარი შემოქმედებისადმი საკმაოდ მკაცრი ცენზურა მაქვს დაწესებული, ანუ არ არსებობს რაიმე კომპრომისი: ძალიან იშვიათად თუ ვითვალისწინებ ვინმეს აზრს, რადგანაც ბუნებით მაქსიმალისტი ვარ, უკიდურესად თვითკრიტიკული, მიყვარს ყველაფერი სრულყოფილი... და ეს სრულყოფილება მოიცავს არა მხოლოდ სიმღერის სწორად შერჩევას, შესწავლასა და შესრულებას, არამედ გარეგნულ ეფექტურობას, სცენაზე ქცევის კულტურას, საზოგადოებაში ეთიკური ნორმების დაცვას... ჩემი შემოქმედებით უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ მსმენელთა წინაშე, ამიტომაც არის, რომ ძალიან რთულ, ფსიქოლოგიურ სტრესს განვიცდი სცენაზე გასვლამდე. ამ შეფარულ ნერვიულ დაძაბულობას, ვერც სიტყვებით ავხსნი და ვერც გადმოვცემ. შეიძლება გარეგნულად მშვიდად გამოვიყურებოდე, მაგრამ ეს, ხომ მოჩვენებითია?! ამგვარი პროცესების მიღმა შინაგანი ხმა ყოველთვის მკარნახობს, რომელ სიმღერას უწერია ხანგრძლივი სიცოცხლე და რომელს — არა. აქედან გამომდინარე, ინტუიცია ხშირად მიმართლებს და, როგორც იცით, ჩემს მიერ შესრულებული სიმღერების უმრავლესობა ჰიტად იქცევა ხოლმე.

**— თქვენს რეპერტუარში არ არის გარემიქსებული ფოლკლორი... ბუნებრივია, როდესაც ეროვნულ მემკვიდრეობას ეხები, გენიალურობისა და უხამსობის ზღვარზე გავლა ერთგვარი რისკია და კიდეც, საშიშია განსაკუთრებით მაშინ, როცა გლობალიზაციის საყოველთაო პროცესები საფრთხეს უქმნის ეთნოკულტურისა და ეთნოეთიკის არსებობას.**

**ხალხურ სიმღერას გარემიქსება არ სჭირდება, რადგანაც ამგვარი მოტივაციით მისი ორიგინალური მუსიკალური ქარგა ირღვევა. პოლიფონიურ ჟღერადობაში შეჭრილი თანამედროვე ინტონაციებით იმსხვრევა ის ეშხი, ის ხიბლი, ის საუკუნეობრივი სიწმინდე, რომელსაც მთელი მსოფლიო ეთაყვანება...**

— რა თქმა უნდა, ქართული ფოლკლორი ჩვენი სიამაყეა, ფასდაუდებელი განძი... ხელშეუხებელი მუსიკა, რომელიც ძალიან ფრთხილ და ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს და არ შეესაბამება გარემიქსებას. რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, ეს მხოლოდ და მხოლოდ კარგმა პროფესიონალმა უნდა შეასრულოს... სამწუხაროდ, დღეს ბევრი ხალხური ნიმუში მომისმენია გარემიქსებულ მდგომარეობაში და ვფიქრობ, ეს „კრიმინალი“ უფროა, ვიდრე ფოლკლორის შეურაცხყოფა. მე ამ საქმისთვის დავსჯიდი, იმიტომ, რომ არ შეიძლება ერის საგანძური ასე ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. ვინ მისცათ მათ ამის უფლება? ხალხურ სიმღერას განსაკუთრებული მოვლა და რესტავრაცია სჭირდება და არა სხვადასხვა ინტონაციებზე მორგება.

**— თუკი დავუკვირდებით, ქართული მრავალხმიანი სიმღერის ფენომენი არა მხოლოდ ხალხური შემოქმედებაა, არამედ, ჩვენი წარსულის ცოცხალი მემატიანე, ქართველთა ოდინდელი კულტურის საცავი... მასში პოეტურად არის ჩაქსოვილი ჩვენი ცხოვრებისეული წესი, ეროვნული ხედვა, სწორი აღზრდა და აზროვნება, რომელიც, საუბედუროდ, ნელნელა იკარგება და უფასურდება. აი, კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დღევანდელობის არსებითი საფიქრალია.**

— გეთანხმებით... მაგრამ ამისთვის ვინ ზრუნავს? მე ჩემს თავს უფლებას არ ვაძლევ, რომ ხალხურ სიმღერასთან მქონდეს ხშირი შეხება, რადგანაც კარგად ვიცი, რომ ეს საქმე მომღერლისგან მოითხოვს სულ სხვა კრძალვას და რუდუნებას. მართალი გითხრათ, აქამდე ვერ გავბედე ამ უძვირფასესი საგანძურისთვის მიმემართა, მაგრამ ახლახან, საოცარი სიფრთხილით მივუახლოვდი ამ ხმიანობას: ანსამბლ „ფესვებთან“ ერთად ჩავწერე მეგრული სიმღერების პოპური. გიორგი უშიკიშვილის დახმარებით ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, არ დაგვერღვია ხალხურობის პრინციპი — სიმღერათა ორიგინალური ფორმა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ეროვნული თვითშეგნების შეურაცხყოფაც... როდესაც ხალხურ სიმღერას ასრულებ, ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და კიდევ, უდიდესი თაყვანისცემაა იმ უნიკალური მრავალხმიანობის მიმართ, რასაც საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი ქმნიდა...

**— მაგრამ დღეს, ხალხური შემოქმედების კვალდაკვალ მასკულტურის შემოჭრამ გაცილებით უფრო გააღრმავა ახალგაზრდა თაობის ინტერესი, ასე ვთქვათ, მუსიკალურ აზროვნებაში გაჩენილი ყალბი, ფსევდოეფექტებისადმი...**

— იცით რაა... თუკი დავუკვირდებით, სადღეისოდ სცენაზე მომრავლდნენ ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ და უნარზე მეტი ფინანსური შესაძლებლობები, იმღერონ, მაგრამ პროფესიონალური თვალსაზრისით, ეს მათი საქმე სულაც არ არის. აქედან გამომდინარე, ყველას ერთ სცენაზე, ერთ კონცერტზე გამოსვლა მიუღებელიც კია. არსებობს კიდევ სხვადასხვა ფაქტორები, რაც ამის თქმის საშუალებას მაძლევს და რამაც გააუფასურა დღეს ცნება „ვარსკვლავის“ მნიშვნელობა, თუმცა „ვარსკვლავური ცხოვრება“ ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპაში სულ სხვა ფუფუნებასთანაა ასოცირებული და სულ სხვა სივრცეების დაპყრობასთანაა დაკავშირებული. აქაური „ბაზარი“ კი იმდენად მწირია, რომ რომ ცოტა უხერხულია, სხვა განვითარებადი ქვეყნების „ვარსკვლავებთან“ შედარების უფლება მივცეთ საკუთარ თავს, თუნდაც იმ პირობების გათვალისწინებით, რა პირობებშიც ჩვენ გვიწევს ხოლმე მუშაობა: ხშირია, როცა კონცერტები ტექნიკური წუნით მიმდინარეობს და ეს ხარვეზები ჩვენთვის — მომღერლებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია, ანუ დამთრგუნველია, როცა ცოცხალი შესრულებისას გღალატობს აპარატურა — არ მოგყვება მინუს-ფონოგრამა და, ამის გამო, უსამართლოდ იჩაგრები...



**— ასეთ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური და პრიორიტეტული ცოცხალი ორკესტრის თანხლებაა...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ძვირი სიამოვნებაა და ერთგვარი ფუფუნებაც... თუმცა სცენაზე ამგვარი პრივილეგიებით არა ვართ განებივრებული... დამეთანხმებით, რომ ცოცხალ სიმღერას სხვა ეფექტი მოაქვს, სულ სხვა ემოციური დატვირთვა ენიჭება, მრავალმხრივი ინტერპრეტაციები განსხვავებულად ჟღერს... საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გამიმართავს კონცერტები და იქ, არამც თუ ცოცხალ ორკესტრზე, ან ცოცხალ ბენდზე, არამედ ტექნიკურად გამართულ აპარატურაზეც კი საუბარი ზედმეტია. ჩვენში რატომღაც მომღერლისგან რაიმე პირობების წაყენება ფუფუნებად ითვლება, არადა, მომღერალს აუცილებლად სჭირდება სტაბილურად შექმნილი ნორმალური ტემპერატურა, კარგი აპარატურა, და კარგი ხმის ოპერატორი — ეს არ არის შემთხვევით შექმნილი ილუზია, რადგანაც საკონცერტო გამოსვლებზე არის შემთხვევები, როცა არც ფონოგრამა და არც საკუთარი ხმა არ გესმის, ასეთ დროს სიმღერის კონტროლსა თუ ხმის ბალანსზე ლაპარაკი სულაც არ არის. აი, ასეთ გამოუვალ პირობებში არაერთხელ ცოცხლად მიმღერია, მიმღერია აკომპანიმენტის გარეშეც კი... მაგრამ, ვფიქრობ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში, ყოველგვარი სიძნელეებისთვის უნდა იყო მზად და ყოველგვარი სირთულეების გადალახვის არ უნდა გეშინოდეს. არ უნდა გეშინოდეს მაშინაც კი, როცა საზღვარგარეთ, უცხო აუდიტორიის წინაშე ქართულად მღერი ან, კიდევ, სამშობლოდან შორს, ქართული ხმებით ქართველ ემიგრანტებს სულიერად აფორიაქებ და მაშინვე შინდაბრუნების სურვილს გაუჩენ...

**— ემიგრაციის პრობლემას დღეს ყველა თავისებურად განიცდის... საქართველო ასე ერთბაშად არც ერთ ეპოქაში არ დაცარიელებულა. ნუთუ გამართლებულია ტყავის გადარჩენის მიზნით, უცხო გარემოს სამუდამოდ შეაფარო თავი და საკუთარ ფესვებს შეაქციო ზურგი?**

— იცით, ეს ხალხი, ალბათ, მძიმე ცხოვრებისეულმა ხვედრმა მოსწყვიტა საკუთარ სამშობლოს... ყველაფერთან ერთად, ისინი ხომ ნოსტალგიით იტანჯებიან?! და ეს მათთვის უკვე სასჯელია. არაერთხელ მქონია შეხვედრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან და მათ გამომეტყველებასა თუ განწყობაზე ეროვნული კულტურის საოცარი მონატრება იგრძნობა. ისინი ცდილობენ, ქართული ტრადიციები თანამედროვე ყოფაში თუ არა, სუფრაზე მაინც შეინარჩუნონ და უცხო გარემოში კიდეც იამაყონ, რომ ისინი ქართველები არიან.

**— ცხადია, ყველა ემიგრანტის ბედი ერთნაირად საინტერესოა... საგულისხმოა ისიც, რომ მათთვის საქართველო არის აქაც და იქაც — საოცრად მონატრებული, უკიდურესად თბილი, ძალიან ლამაზი, მაგრამ ოდნავ პრაგმატული... ემიგრანტების შვილებისა და შვილიშვილებისთვის, რომლებიც „დამტვრეული“ ქართულით ლაპარაკობენ და უჭირთ აზროვნება ქართულად, ვფიქრობ, ვერც ქართული ენა და ვერც საქართველო იქნება მათთვის მშობლიური. მართალია უფროსები ეუბნებიან და კიდეც შთააგონებენ, თქვენი სამშობლო საქართველოაო, მაგრამ ამგვარი სიტყვები მათთვის უკვე აბსტრაქტულად ჟღერს.**

— არა, არა... ასე მკაცრად ნუ განვსჯით, რადგანაც ისინი ძალიან რეალურად უყურებენ ცხოვრებას და ჩვენი ქვეყნისადმი დამოკიდებულებაც განსაკუთრებული აქვთ. ეს იგრძნობა მათთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა თვალცრემლიანი, საოცარი სიყვარულით საუბრობენ მონატრებულ საქართველოზე, როცა შენში ხედავენ უცხოს, მაგრამ მათთვის სამშობლოდან ახლობელს, ქართულად მოაზროვნეს, თბილად მოსაუბრეს...

**— მაშინ, საინტერესოა, ქართველი ემიგრანტები როგორ აღიქვამენ შორეული თვალით იმას, რომ საქართველო — ეს დაქცეული ქვეყანა მათი სამშობლოა? ან თუნდაც თქვენ, როგორ აღიქვამთ ხოლმე უცხოეთიდან თბილისს?**

— ემიგრანტების მსგავსად, მეც საშინელი ნოსტალგია მტანჯავს... აქედან შორს, საზღვარგარეთ ყოფნისას არაერთხელ მითქვამს, არანორმალურები ვართ, სადაც ვცხოვრობთ-თქო, მაგრამ მე მაინც ჩემი არანორმალური, მოუწესრიგებელი ქვეყანა მირჩევნია უცხოეთს... არ ვიცი, ეს შეგუებაა დღევანდელი ყოფის თუ, მართლაც, ჩვენი არანორმალურობის შედეგი, მაგრამ... საზღვარგარეთ ვგრძნობ, რომ ხელოვნურები არიან, რობოტებივით ცხოვრობენ... აკლიათ ის სითბო, რაც ჩვენ გენეტიკურად, გულუხვად მოგვსდევს. ჩვენში მეტი გაჭირვებისა და პრობლემების მიუხედავად, მარადიულად ცოცხლობს ურთიერთგატანა, თანადგომა, უანგარო დახმარება, რასაც ვერ ვხედავ სხვა ერში. მე უსაზღვროდ მიყვარს ჩემი ქვეყანა, არასოდეს მიფიქრია და არც მქონდა სურვილი საქართველოდან სამუდამოდ წავსულიყავი, რადგანაც კარგად ვიცი, რომ მე პასუხისმგებლობა მაკისრია ჩემი საქართველოს წინაშე და მიმაჩნია, შეიძლება ყველას და ყველაფერს უღალატო, მაგრამ მშობლიურ კუთხეს ზურგს ვერ შეაქცევ.

**— 90-იანი წლების საქართველოში ქაოსური პოლიტიკური პროცესების კარდინალურმა ცვლილებებმა — ბიუროკრატიული პრინციპების მსხვრევამ, საბჭოური დიქტატურის კანიბალურმა ვნებებმა, ეთნოკონფლიქტებმა თუ ავანტიურულმა ქმედებებმა ერთბაშად დათრგუნა, დაქსაქსა, დაარბია და დააზარალა თქვენი თაობა... ასპარეზწართმეული, ნიადაგგამოცლილი, დაკარგული, არშემდგარი თაობა, რომელსაც იმდროინდელ ყოფაში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მიეცა და ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ყველაფერი თავზე დაენგრა. იმ დროს, ნაცვლად იმისა, რომ თქვენი თაობა ახალი ცხოვრების მშენებლობაში ჩართულიყო, სამწუხაროდ, აღმშენებლობის უფლება არავინ დააკისრა, სამაგიეროდ, ომის სისასტიკეს ბევრის სიცოცხლე შეეწირა და, უფრო მეტი, მაშინდელ ცხოვრებას იძულებით გაეცალა, რათა ძალადობის, უზნეობის, განუკითხაობის, „ჰეროიკულ ფარსში“ ჩაბმული ჯამბაზისა თუ კომედიანტის ნიღაბი აერიდებინა.**

**თქვენ, ალბათ, განიცდით თქვენი თაობის სატკივარს, იმ თაობისა, რომელმაც წლობით საკმაოდ მძიმე ჯვარის ზიდვა იტვირთა.**

— ჩემმა თაობამ, მართლაც, ბევრი რამ იტვირთა... რეჟიმიდან რეჟიმში გადასვლას, რევოლუციებს, ეროვნულ მოძრაობას, სამწუხაროდ, ჩემი თაობის ფიზიკური განადგურება მოჰყვა, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, რომ ჩვენ დაკარგული, არშემდგარი თაობა ვართ, რადგანაც, ვფიქრობ, ფიზიკურ განადგურებასა და არშემდგარ თაობას შორის დიდი განსხვავებაა. არშემდგარი კი არა, ძალიან ნიჭიერი თაობა ვართ, თუნდაც, ჩემს პროფესიაში რომ ავიღოთ...

**— თუმცა ერთეულთა წარმატებით ხომ არ განისაზღვრება იმ თაობის საერთო წარმატება, რომელმაც საკმაოდ მწარედ გადაიტანა 9 აპრილის ტრაგედია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეთნოკონფლიქტები, იგივე თბილისის ომი...**

— გასაგებია, მაგრამ, ვფიქრობ, ამდენი ნიჭის რეალიზაცია, რაც ჩემი თაობის მხრიდან მოხდა, არც ერთ თაობას არ ღირსებია და ამ ნიჭის გამოვლინება დღესაც აშკარად იგრძნობა. იცით რა, ბოლო დროს ყველაფერი ელვისებური სისწრაფით გადასხვაფერდა, თუკი დავუკვირდებით, ამ 10-15 წელიწადში მნიშვნელოვნად შეიცვალა რელიგიისადმი დამოკიდებულება: მე ისეთი პერიოდი გამოვიარე, როცა კომუნისტურ რეჟიმში ეკლესიაში შესვლა იკრძალებოდა, უფრო მეტიც, ჯვრის ტარებისაც კი გვეშინოდა... ახლა, საზოგადოება მოქცეულია ქრისტიანული აღმსარებლობისაკენ და ეს უდიდესი პროგრესია, თანამედროვე სინამდვილეში კი — მნიშვნელოვანი მოვლენა. რწმენა სულიერებიდან მომდინარეობს, რაც განსაზღვრავს ადამიანში პიროვნულ სრულყოფილებას...

**— მაგრამ, იმ არეულობაში, იმ ფსიქოლოგიურ ომში, ალბათ, ძალიან რთული აღმოჩნდა, დარჩენილიყავი პიროვნებად, ყოფილიყავი ერთდროულად ხელოვანიც და თან გეფიქრა: რა ვჭამო ხვალ?**

— რას ვიზამთ, ცხოვრება ბრძოლაა... ეს მაშინ გარდაუვალი იყო.

**— საინტერესოა, თქვენი ადგილი თუ მოიძებნებოდა იმდროინდელ საზოგადოებაში? ან თუნდაც, რას აკეთებდით იმ დროს?**

— ვმღეროდი. მე ჩემი საქმე არასოდეს მიმიტოვებია.

**მზეხა მახარაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**გამოცემა**

# რატომ 33?!

**(მეათე გვერდიდან)**

– ადრეული რომაელი პოეტები – ენიუსი, პაკუვიუსი, აკციუსი თავიანთ ეპიკურ ქმნილებებში და ტრაგედიებში წარმოჩნდებოდნენ სამოქალაქო იდეების დამცველად. ისინი იყვნენ ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემების, სიქველის, ახალგაზრდობაში „ტრადიციული სიქველის“, გრძნობის აღზრდის მქადაგებელნი. ნეოტერიკოსების პოეზია გაემიჯნა ამ მიმართულებას – მათი ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები ალექსანდრიელ პოეტთაგან მომდინარეობდა, კალიმაქესა და ევფორიონის დარად ნაცვლად დიდი ეპიკური ქმნილებების, მცირე ზომის მითოლოგიურ პოემებს, ანდა ეპიგრამებსა და ელეგიებს ანიჭებდნენ უპირატესობას.

თვალი ჩავკრათ ისევ წიგნს:

„კატულუსმა რომაულ ლიტერატურაში სრულიად ახალი სუნთქვა შემოიტანა. ინტიმური ლირიკის, როგორც ლიტერატურული ჟანრის დამკვიდრება, პირველ ყოვლისა, სწორედ მის სახელს უკავშირდება“.

... ეს ფრიად მნიშვნელოვანი თეზისია! (ფაქტია).



– დიახ, ამ სახის პოეზია რომაული ლიტერატურის საწყის ეტაპზე არ არსებობდა, მიუღებელიც კი იყო. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მანამდე რომში არც ერთ პოეტს არ გამოუხატავს ლექსში პირადული განცდები, ამგვარი ლექსები, ალბათ, იწერებოდა, მაგრამ ლირიკის, როგორც ლიტერატურული ჟანრის დამკვიდრება, მაღალი პრესტიჟის მინიჭება, სწორედ კატულუსის დამსახურებაა.

... კატულუსის ლექსები მრავალფეროვან საზომთა მონაცვლეობით გამოირჩევა, მაგრამ მისი საყვარელი საზომია ე.წ. ფალეკოსის თერთმეტმარცვლიანი. სასიყვარულო ლექსები ძირითადად ამ საზომითაა დაწერილი, პოემები – ელეგიური დისტიქით, ზოგჯერ კი საპფოური საზომითაც.

მთარგმნელი, ერთი მხრივ, ნაცად ხერხს ირჩევს – ელეგიურ დისტიქს იმავე საზომს მიუსადაგებს, რომელსაც მიმართა ოვიდიუს ნაზონის „ტრფობანის“ თარგმნისას (1987 წ.).

**„მრისხანე ბრძოლებზე მსურდა**
**დიადი სიმღერა მეთქვა,**
**გმირთა ამბების თხრობა მწყობრი**
**საზომით ვცადე“.**

აი, ასე – 16 და 14-მარცვლიანი საზომითაა გამართული ოვიდიუსი და ახალ თარგმანში ამ ხერხთან ერთად ძირითადად იყენებს 14-მარცვლიანსაც – ასე ვთქვათ ჩვენთვის „ტრადიციულს“.

**„იგლოვეთ მწარედ,**
**ვენუსნო და კუპიდონებო!**
**ვინც სილამაზის იცის ყადრი,**
**იგლოვეთ ყველამ!**
**მოკვდა ბეღურა,**
**ჩემი სატრფოს ჩიორა მოკვდა!**
**მისი ნუგეში, სიხარული მოუწყინარი.**
**ის ჩემს ქალბატონს თვალისჩინზე**
**მეტად უყვარდა“**

და ა.შ.

კრებულში ლათინურ-ქართული ტექსტი გვერდიგვერდაა დაბეჭდილი (კატულუსის თარგმანის ჭაშნიკი თავდაპირველად გაზეთმა „ჩვენმა მწერლობამ“ შემოგვთავაზა) და ვისაც ხელეწიფება, დედანშიც წაიკითხავს ამ ფრიად საინტერესო პოეტის ნააზრევს – თვალდათვალ შედარება კი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ერთგვარი ინფორმაცია მივიღოთ ძველრომაული ლექსის არქიტექტონიკაზე (სხვათა შორის, მე-2 ლექსის პირველ ტაეპშიც თვალისჩინი უნდა იყოს, შეცდომით კი დაბეჭდილია „თვალსაჩინო“ – წიგნში ასეთი „კორექტურა“ გულსატკენია).

... თითქოს ახლა იწყებს წერას პაპირუსის გრაგნილზე პოეტი, იმდენად ლაღი და ცხადია მისი ხმა, როცა პირველ ლექსს უძღვნის თანამემამულეს.

მწერალ კორნელიუს ნეპოტს ანდა მიმართავს მუზას:

**... ჰოდა, მიიღე სამახსოვროდ**
**ჩემი წიგნუკა,**
**ნუ დამიძრახავ – ავია თუ კარგი,**
**ეს არის!**
**ქალწულო მუზავ,**
**შენ იყავი მფარველი მისი,**
**მრავალ თაობას გასცდენოდეს,**
**იყოს დღეგრძელი“.**

და აკი აუხდა კიდეც!

კატულუსის პოეზიაში გაცხადებულია მისი სატრფოს ლესბიას სახელიც, მაგრამ რატომ გლოვობს ასე მწარედ ბეღურაზე ვაჟკაცი კაცი?!

პასუხი:

– ამ ლექსებში კატულუსი შეფარვით გამოხატავს თავის სწრაფვას ლესბიასადმი („ჩემი გოგონა“) – „შენს რამდენ კოცნას დამჯერდები, მკითხავ, ლესბია“... ეს მე-7 ერთადერთი პოპულარული ლექსიდანაა, რომელიც ასე მთავრდება:

**„იმდენი მკოცნე,**
**სათვალავი აებნეს კოცნას,**
**ავმა ენებმა ვერ მიაგნონ**
**გასათვალავად“.**

აი, ასეა გაქართულებული რომაელი პოეტის ვნებანი მანანა ღარიბაშვილის მიერ, მაგრამ დავუბრუნდეთ ბეღურას: კატულუსის სატრფო დაუღონებია მისი საყვარელი ბეღურას სიკვდილს. ბეღურა აფროდიტეს წმინდა ფრინველად მიიჩნეოდა თურმე და ამდენად, რომაელი ქალების საყვარელ ჩიტადაც. ამავე დროს საალერსო სიტყვაცაა.

გაქართულებაზე მოგახსენებდით: მთარგმნელი ისე თამამად სეირნობს კატულუსის სევდის ბაღში, რომ თითქოს მისი თანამებრქვე იყოს, სატრფოსადმი საყვედურით ავსებს მე-11 ლექსის აკორდი ასეთი ხატოვანია:

**„უთხარით, ჩემზე ნურც იფიქრებს,**
**ჯობს დამივიწყოს,**
**დე, დამივიწყოს, სიყვარული**
**ჩემი განქარდა,**
**მან ის მოაშთო,**
**როგორც ველის მშვენიერ შროშანს**
**სახნისი მოკვეთს“.**

მშვენიერია! იტყვით ასევე უნებლიეთ, როგორც ანტიკური ფრესკების შემხედვარე!.. და სხვათა შორის, ესეც უნდა ითქვას, წიგნში ჩართულია პომპესის ფრესკები, რაც აორკეცებს მისდამი ინტერესს.

... აუხსნელია მთარგმნელობითი ხელოვნების საიდუმლო, – იგი მედიტაციას უფრო ჰგავს, თორემ როგორ „ესმით ასე ერთმანეთის საუკუნეებითა და ენით დაშორებულ ადამიანებს? ამის ერთ-ერთ მაგალითად შექსპირის პოეზიას მივმართოთ, კერძოდ 74-ე სონეტს.

**„როცა სიკვდილის ცივი**
**სხივი შემომაშუქებს,**
**ვიცი, ვერავინ ვეღარ შეძლებს**
**გამოსარჩლებას,**
**მაგრამ წასვლამდე ჩემს სიცოცხლეს**
**ლექსებს ვაჩუქებ**
**და ეს სტრიქონი უკვდავების**
**ძეგლად დარჩება.**
**...**
**სხეულს დაჰკარგავ,**
**თუ სიკვდილი მიუახლოვდა,**
**მაგრამ დაგრჩება,**
**სხეულში რომ სული სახლობდა“.**

რეზო თაბუკაშვილისეულ ამ ჩინებულ თარგმანს, როცა სამუელ მარშაკისეულ თარგმანთან ვადარებ, ვფიქრობ, რომელი უფრო ახლოა ნეტავ დედანთან, თუმცა, რა საჭიროა თავის ტეხა, ორივე მშვენიერია, საამისოდ ბოლო ორწკარედიც კმარა:

„Ей черепки разбитого ковша
Тебе мое вино, моя душа“.

ხომ არის ამ სტრიქონებში რაღაც ჰამლეტური, ანდა უფრო შორეულიც – ომარ ხაიამისებური!

ასეთი უხილავი სიმებითაა დაკავშირებული ერთმანეთთან სხვადასხვა ენაზე მეტყველი სხვადასხვა დროის პოეტური ხმები...

**ნანა ღვინეფაძე.**

**პოეზია, უპირველეს ყოვლისა**

ანზორ აბულაშვილი

# უკვდავება



## რუსთაველი

სვეტიცხოველი... მის შესამკობ დეკორთა შორის
მარჯვენაცაა — მოკვეთილი —
ტაძრის ამგების,
შურის მსხვერპლისა, ვით იტყვიან,
იგივ ღმრთის მონის,
უხვი წყალობით ხელდასხმული! იმავ განგების.
მაგრამ ნათებად, ცით, სხვა ითქვა
ივერთა ღამის,
ვერაწონილი ნიჭით რომელს დასდო სასჯელი
და მოგვევლინა კაცად,
მაგრამ სხვაგვარი მაინც,
ორივე ხელი ეწყალობა ვისაც მარჯვენი.

## გურამიშვილის ჩივილი

ვიცი, მწიფს ახლა ქართლში სამკალი,
დამძიმებულა სავსე თავთავი,
ჟანგმოდებული კვნესის ნამგალი,
კალო-საბძელი გაუმართავი.
სულს ღაფავს ტკბილი ქართლი —
პარტახი.
მიწას მიპბარდა უცხოს — ვახტანგი.
მე მიჭირს შენი, შორით, არტახი,
რა ცრემლის ღლაპვით დაგვისახლკარდი!..
უნდა ვიყარო თავზე ნაცარი...
ყველგან მდევს ვითა ვინმე მემავი,
წკეპლების ცემით, დედინაცვალი,
იღბალი ჩემი — ჭირთამკერმავი.
რაც მჭირდა, ყოვლი ქაღალდს ვუთხარი,
ამ ცეცხლში ქართლში ჩავა ქაღალდი?!
წუთისოფელო, ცრუო, მუხთალო,
გაუთენებლად შემომაღამდი...
გაიგებს ვინმე ვითარ დავიწვი,
ვისთვის გავმართე ან ეს წისქვილი,
მე რომ თავთუხი დავფქვი,
რა ვიცი,
ქატო ეგონათ იქნებ ის ფქვილი.
ერთი — უფალი, ერთი — სამშობლო,
ერთიც ეს ჩემი სიტყვა-ღაღადი,
აი, ვისთვისაც ნატანჯ და ნადაღ
სულს კვლავ თავიდან დავიდაღავდი...
მართლა მწიფს ახლა ქართლში სამკალი,
დამძიმებულა სავსე თავთავი,
მაგრამ სხვისთვის მკის ყანას ნამგალი,
ქართლის არ არის ერთი ბათმანიც!
ასი მგელ-ტურა ერთადა სძიძგნის,
ათასი სვავი-ფრთების სავსავით.
ვიღას რად უნდა სიმღერის წიგნი,
წკრიალ-გალობა ტოროლასავით.
უნდა შეჭმუხნონ ლექსებმა შუბლი,
უნდა ჩაპბერონ ბუკს და ნაღარას,
და იმამაცონ შეწევნით უფლის,
ქვეყნის სალბუნად და გასახარად.
მუხლს ვის მოუდრეკს ცოცხალი თავით
მძლე-ყოვლის მძლეთა — შოთას შაირი
და თუ დადრკება, ღმერთს შევხთოვ,
დავით,
ასცდეს სიკვდილი ასეთნაირი.

## ნიკოლოზ ბარათაშვილს

შენს კუთვნილ თაფლს შხამი მეტი ურევია,
ანკი თაფლი ვინ გარგუნა მცირედიც.
წუთისოფლის გულის ჭირნი ულევია,
მაგრამ იქვე მოწანწკარებს იმედიც.
ოცნებანნი შენი ცაში ირევიან,
სხვის უმეტეს ერთის მეფობს იერი.
მზისქვეშ იდგეს ჩვენი დედა-ივერია,
მუნ გულმშვიდად მუშაკობდეს ივერი.
სიტყვა ქართვლის შვებაა და ნეტარია.
გვესმას მისი ყიჟინი და მღერანი...
საქართველო შენი მერნის მხედარია,
უგზო-უკვლოდ ქარში მიქრის მერანი.

## ილია

აქეთ შენ იყავ და ვინც იყავ,
უკეთ ჩემზე იციან სხვებმა,
იქით ვინც იყო, ვერ დაიტკბო სმენა კვნესით
ჯვარცმულ-ვნებულის.
აქეთ შენ იყავ — ნათლის სვეტი მამულისა
და უფლის ნება,
სახე თვით დიდი დავითისა და დიმიტრი
თავდადებულის...
იქით ვინც იყო, რაც შეეძლო,
ჭნერწყვა მშობელს
სხვის სასიამოდ,
სხვის სამსახურად აქადაგა სიტყვა ფუყე,
ცრუ და ბრტყელ-ბრტყელი:
აქეთ შენა ხარ — ნუგეშინი და სნებათა
ჩვენთა მალამო,
მარად მჭმუნვარი ოპტიმისტი და
წინასწარ მარად მეტყველი.

## აკაკის მოთქმა

უფალო, რას მომასწარი.
მართალს სციოდეს, შიოდეს?!
იქნებ იმიტომ, ამ სიმწრით
სიკვდილი გამიიოლდეს.
გინახავთ — სნეულ სამშობლოს
წამალი არა სჭიროდეს?..
მთელი ქვეყანა ერთპირად
ცრუობდეს და ორპირობდეს;
აღარც ბრმენი და არც ხელი
გასაკვირს აღარ ჭკვირობდეს,
მუნწისთვის ქველის სახელი
სულაც აღარა მვირობდეს.
პირწავარდნილი ლაჩარი
მამაცობდეს და გმირობდეს.
შარაგზის ლაფი-აყალო,
ტალახი —სანთელ-ცვილობდეს
ვიღაც მამღარი საყდარში
ეყუდოს და ბერ-მწირობდეს,
თან — თავსაყარი სიმდიდრე
ეკმაროს და არ მწირობდეს,
ჯანდაბას, ქართლის სვე-ბედზე
ქირქილით არ იცინოდეს.
ყვავ-ყორნის რისხვა —არწივი
საცაა გაგვიჩიოდეს...
გინახავთ ყველა სიმღერა
გულამოსკვნილი ტიროდეს?!

## გიორგი ლეონიძის დასაფლავება

ესვენა მძიმე მუხის კუბოში...
ვაი, ობოლო ფარო და შუბო!
ჩვენს მძლე ციხეებს —
ბებერთ და პირქუშთ
დადრეკილ მხრებზე შეედგათ კუბო.
აღებდნენ ცივი სამარის კარებს,
საფლავს უთმობდა აგვისტოს ხვატი.
ლექსი რეკავდა მიმწუხრის ზარებს
და ქართლს ესმოდა ზრიალი მათი.
იწვა კუბოში,
ბნელს ეპყრა ხელთა,
მთაწმინდის მწუხარ კალთებს
მომდგარი,
მთლად საქართველოს
ჩუქურთმის მჭრელთა
დიდი ბატონი და ფეოდალი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

გვწერენ

# სიკეთე, რომელიც ყოველთვის წინ გვხვდება

**პენსიების მომატებასთან დაკავშირებით გამოწვეულმა გაუგებრობამ, რომელიც შემდეგ ათასი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა, უწინარეს ყოვლისა, თავად პენსიონერები დააბნია. ბევრი მათგანის თვალში ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის მიერ გაკეთებულმა ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებამ, თითქოს ამ მომატებული თანხით ძველი დავალიანებები დაიფარებოდა, პრეზიდენტის გადაწყვეტილება ლამის კითხვის ქვეშ დააყენა.**

ამ დღეებში კი გაუგებრობას საბოლოოდ დაესვა წერტილი. ისინი მომატებულ პენსიებს სრულად მიიღებენ, რომელსაც ამიერიდან ყოველთვიურად 2 ლარი დაემატება ძველი დავალიანებების დასაფარავად. წლის ბოლოსათვის კი მათ პენსიები კვლავ გაეზრდებათ.

ეს სასიამოვნო ცნობა, იმედია, ყველა პენსიონერს, მათ შორის, ალბათ, ლაგოდეხელებსაც გაახარებდათ, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე დიდი პრობლემა მათთვის თურმე მისი მიღება (უფრო სწორედ კი აღება) გამხდარა. აი რას გვწერენ ისინი: „გვინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ჩვენი გულისტკივილი გავუზიაროთ იმათ, ვისაც უშუალოდ ამ საკითხის მოგვარება ევალება, რადგან ჩვენთვის განკუთვნილი ამ ისედაც მიზერული თანხის ასაღებად ყოველთვის დიდი ბრძოლის გადატანა გვიხდება. კერძოდ, ეროვნული ბანკიდან წამოსული თანხა სხვადასხვა კომერციული ბანკის ხელში ხვდება. ისინი კი ამ თანხებს თავიანთ სასარგებლოდ ატრიალებენ, რის გამოც ის ჩვენამდე დიდი ვაივაგლახით აღწევს, ანუ მისი გაცემა მთელი თვის მანძილზე ნაწილ-ნაწილ იწელება. ამით აგრობანკი ხელს ითბობს, ჩვენ კი ნერვები გვაწყდება. არადა, ბანკი, წესით, ფოსტას სამი დღის განმავლობაში უნდა აძლევდეს პენსიონერთათვის განკუთვნილ თანხებს, რასაც იგი პირნათლად არასდროს ასრულებს და პენსიების გაცემაც თვეობით იგვიანებს.

ახლა, როცა ჩვენს დაუკითხავად მოხდა ჩვენი გადაყვანა „სახალხო ბანკში", მდგომარეობა ამ მხრივ კიდევ უფრო გაუარესდა. პენსიებს დროულად მაინც ვერ ვიღებთ, რადგან იქ მოკალათებული ბიუროკრატები თავის თავზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე ჩვენთვის. თუ ადრე ფოსტის საშუალებით ვაკონტროლებდით ბანკის მიერ ჩვენთვის გაწეულ საქმიანობას, ახლა, როცა უშუალოდ მათ დაეკისრათ პენსიების გაცემა, მათზე ყოველგვარი კონტროლი დავკარგეთ. იმედი არა გვაქვს, რომ იგი კეთილსინდისიერად მოგვემსახურება..."

ყოველივე აქედან გამომდინარე, წერილის ავტორები ერთგვარ გამოსავალსაც კი სთავაზობენ მათ, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ევალებათ: „უკეთესი ხომ არ იქნება, პენსიების გაცემა ეროვნული ბანკის ფილიალის საშუალებით მოხდესო". თან იქვე დასძენენ, „ამ საკითხის მოსაგვარებლად ახლა შეიძლება არავის ეცალოს, მაგრამ კარგი იქნება ჩვენს ამ წინადადებას სამომავლოდ მაინც თუ გაითვალისწინებენო".

ასეთი იყო ამ წერილის ავტორთა გულისტკივილი, რომელსაც ლაგოდეხელ გიორგი ბეგაშვილთან ერთად ხელს 15 პენსიონერი აწერს.



საპენსიო თემას ეხება, აგრეთვე, თბილისელი სიმონ ცინცაძე, რომელიც თავის წერილს ოდნავ ირონიული ტონით იწყებს: „1997 წელს დიდი ვაივაგლახით მივაღწიე საწადელს და როგორც იქნა, ვიშოვნე 30-ლარიანი სამსახური. იმ დროისათვის არც არავისგან გამიგია და ვერც კი წარმოვიდგენდი, 8-ლარიანი პენსიისა და 30-ლარიანი ხელფასის ერთად აღება ცოდვად თუ ჩამეთვლებოდა. ეს მაშინ, როცა თავად ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, ერთ სულზე, საარსებო მინიმუმი ოფიციალურად 100 ლარზე მეტს შეადგენდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ – 2004 წლის იანვრიდან უხელფასო, უვადო შვებულებაში გამიშვეს და იძულებული გავხდი, განცხადება დამეწერა სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე. თებერვლის დასაწყისიდან ვაკე-საბურთალოს რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში აღვიდგინე პენსია, რომელიც დღემდე არ მიმიღია. თებერვალში მითხრეს, მარტში მიიღებთო, მარტში – აპრილშიო, აპრილის ბოლოს კი გაირკვა, რომ ადრე მიღებული პენსიიდან თურმე სახელმწიფოსათვის 100 ლარამდე „ზარალი" მიმიყენებია".

ავტორს აქ სავსებით სამართლიანი კითხვა ებადება, თუ სახელმწიფოს ვალი ჰქონდა, რატომ არ დაუკავეს აღნიშნული თანხა მას 1997 წელს, როცა პენსია შეუწყვიტეს? ან ამის შესახებ თავის დროზე რატომ არ ჩააყენეს საქმის კურსში? მისი „შემოსავალი" მაშინ ხომ 38 ლარი იყო და მისი დაფარვაც განა უფრო უმტკივნეულო არ იქნებოდა? მაგრამ...

ომის ვეტერანებისთვის დახმარების საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი, სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი პავლე გამყრელიძე: „ომის დამთავრების შემდეგ ადგილობრივმა თუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ომგადახდილ მეომრებზე ზრუნვა დაიწყო, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტი იყო. თუმც მათ მიმართ მზრუნველობამ 1992 წლიდან საგრძნობლად იკლო. მთავრობამ ერთი ხელის დაკვრით შეგნებულად გააუარესა, როგორც მოსახლეობის, ისე ომის ვეტერანთა პირობები და ისინი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო.

1996 წლის 16 ოქტომბერს გამოიცა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი პენსიონერებისათვის დამატებითი პენსიების მიღების შესახებ პრეზიდენტის განკარგულება, რომელიც პენსიაზე დანამატის გაცემას ითვალისწინებდა, რაც, სამწუხაროდ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ ხდებოდა. შემდეგ კი ეს დანამატიც შეწყდა".

2002 წლის 18 აპრილს სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო პარლამენტის გადაწყვეტილება ელექტროენერგიის შეღავათის შესახებ, რამაც კიდევ უფრო შეზღუდა მათი უფლებები. ხელისუფლების მხრიდან მათდამი გამოჩენილი ყურადღება კი ერთგვარი ავანსი იქნება იმათ მიმართ, ვინც ხვალ სამშობლოს დამცველთა რიგებში უნდა ჩადგეს. ეს მათთვის ჯარში სამსახურს კიდევ უფრო საამაყოს გახდის.

მომხმარებლის მიმართ გამოჩენილ უპატივცემულობაზე ამახვილებს ყურადღებას ვაზისუბნელი ნათელა ტოგონიძე. მისი ადრესატი კი „თელასის" ისანსამგორის რაიონის ბიზნეს-ცენტრის თანამშრომლები არიან, რომლებმაც თანხის შესატან ქვითარზე, აღნიშნული თარიღის ერთი დღით დაგვიანება არ აპატიეს და ზუსტად იმ დღეს გაუთიშეს დენის მიწოდება. ეს მაშინ, როცა დენის განსაკუთრებით საღამოს საათებში ხშირი გათიშვის გამო მათ ბოდიშსაც არავინ უხდის.

ვაზისუბნელები, ასევე სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ „თბილგაზის" მესვეურთა მიმართაც, რომლებსაც აგერ უკვე ერთი თვეა, რაც გაზი არ მიეწოდებათ.

დღევანდელ ჩვენ შეჭირვებულ ყოფაში განსაკუთრებით დასაფასებელია ადამიანის მიერ ადამიანის მიმართ გამოჩენილი მცირე ყურადღებაც კი. სწორედ ჩვენთვის ასე მივიწყებულ გულისხმიერებას ეხება აფხაზეთიდან ლტოლვილი ინჟინერ-მშენებელი თამაზ ბასლანიძე, რომელსაც ჩუღურეთის რაიონში შეუძენია ერთი ოთახი და რომლის გადაფორმების დროსაც ქალაქის მიწის მართვის დეპარტამენტში მოკალათებულ ბიუროკრატებისაგან წინააღმდეგობას წაწყდომია. ფიქრობს, რომ პირადი მოსაზრებების გამო უჯანჯლებდნენ საქმეს. ერთ დღესაც მისი გასაჭირით იმავე რაიონის მიწის მართვის რეგიონული სექტორის მთავარი სპეციალისტი ლიანა ცინცაძე დაინტერესებულა, რომელსაც გულთან ახლოს მიუტანია გატანჯული კაცის სატკივარი და იმ წუთშივე ოპერატიულად და უმტკივნეულოდ მოუგვარებია ბინის გადაფორმების საკითხი, რომელიც სინამდვილეში თურმე არცთუ ისე ძნელი საქმე ყოფილა.

სწორედ ქალბატონ ლიანა ცინცაძისთვის მადლობის საჯაროდ სათქმელად რედაქციაში გვეწვია ბატონი თამაზ ბასლანიძე.

სიკეთის ქმნა რომ წყალში არ იყრება, ეს ამ ფაქტიდანაც ნათლად გამოჩნდა.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

გმადლობთ!

# ვეტერანთა განწყობა საყოველთაო ყურადღების ფონზე

## თავგადადებული ბადრი პატარკაციშვილი და სხვები

**ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების 59-ე წლისთავთან დაკავშირებით, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ჩვენმა ქვეყანამ, მისმა დედაქალაქმა, ფართოდ აღნიშნეს ეს დღე. ამ საქმეში ჩაბმულნი იყვნენ სამინისტროები, საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მთელი ჩვენი საზოგადოება.**



გამორჩეულად აღვნიშნავთ და მადლობას ვუხდით იმ უწყებებსა და პიროვნებებს, რომლებმაც ომგადახდილ მეომრებს ღირსეული პატივი მიაგეს არა მარტო სიტყვიერად, არამედ მატერიალურადაც.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ პოლიტექნიკური, სამედიცინო და აგრარული უნივერსიტეტების რექტორატები, რომლებმაც ომის ვეტერანებს 50-50 ლარი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. „საქნავთობის" ხელმძღვანელობამ თავისი ვეტერანები დააჯილდოვა 50-50 ლარით, ხოლო საბურთალოს ვეტერანებს გადაურიცხა 500 ლარი, საქართველოს რკინიგზის მესვეურებმა ომის 305 ვეტერან რკინიგზელს 100-100 ლარი, ხოლო ზურგის 240 მუშაკს 80-80 ლარი აჩუქა.

თბილისის რაიონების გამგეობებმა მნიშვნელოვანი თანხები გადაურიცხეს ომის ვეტერანთა საბჭოებს და 1500-ზე მეტი ვეტერანისთვის გამართეს საზეიმო ბანკეტები.

განსაკუთრებით გამოიდო თავი ცნობილმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა, გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ ბადრი პატარკაციშვილმა, რომელმაც ომის 500 ვეტერანს ჩინებულად უმასპინძლა რესტორან „სარაჯიშვილში" (დასანანია, რომ სხვა ბიზნესმენებს ეს საზეიმო თარიღი როგორღაც მხედველობიდან გამორჩათ).

მადლობელი ვართ ბეჭდვითი სიტყვის იმ ორგანოებისა, რომლებმაც თავიანთ ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმეს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ მასალებს და პროფესიულად გააშუქეს სამამულო ომის დამთავრების 59-ე წლისთავი, საქართველოს ტელევიზიის იმ არხებს, რომლებმაც უჩვენეს ომის თემაზე შექმნილი კინოფილმები.

სიამოვნება მოგვანიჭეს დედაქალაქის მერიის, საკრებულოს სამსახურებმა. დიდად კმაყოფილი დავრჩით საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 30 აპრილის განკარგულებით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა გამარჯვების 59-ე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები. ვალში არც პარლამენტის ხელმძღვანელობა დაგვრჩა: ვეტერანთა წარმომადგენლებს საზეიმო შეხვედრა მოგვიწყვეს, პურმარილით გაგვიმასპინძლდნენ და საპატიო სიგელები და საჩუქრები გადმოგვცეს.

ომის ვეტერანთა სახელით დიდ მადლობას მოვახსენებთ მთელ ჩვენ საზოგადოებას გამოჩენილი მზრუნველობისთვის.

დაე, მრავალ ასეთ დღესასწაულს დავესწრებოდეთ!

**ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 117, კვირა, 23 მაისი, 2004 წელი.

მოთხრობა

# ნაღვლიანი ამბავი სიყვარულით

ნეტავ ვინღა მოისხამს მხრებზე ძველისძველ ნაბადს, ნეტავ ვინ ჩაიცვამს მასრებიან შავ ჩოხას და წვივებზე შემოტკეცილ გიშრისფერ აზიურებს, ან ვისღა ახსოვს ადამის ჟამის იმდროინდელი სიყვარული? ახლა ისეთ ქალებს ხატავენ, რომლებსაც სიყვარულის გამხელაც არ სჭირდებათ, თვითონვე ხდიან მამაკაცებს პერანგს და უხსნიან შარვლის ღილებს.

ო, როგორ მომენატრა ძველისძველი სიყვარული, ო, როგორ მომენატრა ნათელი დღეები, როცა მზე ეკიდა ცარგვალზე და გულიც მნათობად იყო გადაქცეული. ახალგაზრდებს ყოველღამე გვესიზმრებოდა ნაწნავიანი გოგონები, პუტკუნა ლოყებზე წასმული ბროწეულის საღებავით, არწივის ფრთებივით გაშლილი წარბებით, ვარდივით აკოკრილი ტუჩებით და ბრიალა თვალებით.

ის მზისგულიანი და სიზმრებით გალაღებული ვაჟები აღარავის ახსოვს, კარგა ხანია თვალს მიეფარნენ და, ალბათ, აღარასოდეს დაბრუნდებიან, თუმცა, ჯერჯერობით, ჩემს მეხსიერებას მაინც შემორჩნენ, წარსულს რომ გადავხედავ, უმალ ამოყურყუმელავდებიან ლურჯი ზღვის ზედაპირზე და შორიდან მემუდარებიან, გადაგვარჩინე, ნუ დაგვკარგავ სამუდამოდ, ჩვენ თუ არა, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროსო.

დავიწყებისთვის მართლა არ მემეტება ვახო, რომელსაც წელში გამოყვანილ ქათქათა ხალათზე ოქროსფერი ცთომილით დამშვენებული ბალთიანი ქამარი ამშვენებდა, კოკარდიან ქუდზე წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი უბრწყინავდა და ზამთარზაფხულ ქრომის ჩექმით დაბრძანდებოდა. თუმცა, ვის უნდა წვეოდა იმ სოფელში, სკოლის შენობა ყველაზე დიდი გახლდათ და ყველაზე მეტი მოსწავლე და მასწავლებელი იქ იყრიდა თავს.

წელში გაჭიმული, თავაწეული დილაადრიან მისი ცოდვით დამწვარ სკოლას მიაკითხავდა, ქუდს მოიხდიდა, ხუჭუჭა თმები გადმოუცვივდებოდა შუბლზე, აბრეშუმის ნაჭერს ამოაფრიალებდა ჯიბიდან, ოფლით დაცვარულ ლოყებს შეიმშრალებდა და ახედავდა სარკმელს, გული აუჩქარდებოდა, თვალები დაენამებოდა, ხელს მკერდთან მიიტანდა და ჯადოქარივით გამოჩნდებოდა თითებს შორის ყვავილი.

თუ გაზაფხული იყო, მელნისფერი იის კონა აინთებოდა, ნაზამთრალ მიწაზე იაია რომ გაწყდებოდა მინდორში, მერე ფურუსულას გააცოცხლებდა.

ზაფხულში თეთრი ვარდებით დაიმშვენებდა მარჯვენას.

შემოდგომაზე კი ქრიზანთემებით იწონებდა თავს.

რა გინდა, რა ყვავილი არ მოჰქონდა ზამთარში, ოღონდ ყველა ენდროთი შეღებილი თხელი ფურცლებით იყო გაკეთებული.

ფანჯრებიდან იცქირებოდნენ მასწავლებლები, ზოგი გულიანად იცინოდა, ზოგიც გულში იღიმებოდა. იმ ყვავილებსაც დასცინოდა და არც ვახოს ერიდებოდა.

მარტო ჭუტა მასწავლებელი არ ეკარებოდა ფანჯარას, იმ დროს ლამაზი ქალის დასახატავად ერთი წინადადება არსებობდა და მართლაც კალმით იყო დახატულ-დასურათებული, წელში გამოყვანილი, მხრებში გამართული, გაშლილი თმები მუდამ მხრებზე ეყარა კულულებად და რომ გაიღიმებდა, გახლეჩილ ბროწეულს მოგაგონებდა, თვალებიდანაც ნაკადულივით მოედინებოდა თბილზე თბილი წყალი, რომელსაც ხან ენძელას, ხან იასამნის სურნელი დაჰკრავდა. ახლა რა რაკრაკით კითხულობდა ლექსს.

— კიდევ მოვიდა ეგ გიჟი? — ჰკითხავდა ჭუტა მასწავლებელი ფანჯარასთან აყუდებულ მასწავლებელს.

— რომ დავუშალოთ, გგონია დაიშლის აქ მოსვლას? — იქით შეეკითხებოდნენ.

— გიჟის სიყვარულიღა მაკლია! — ამაყად იტყოდა გაბრაზებული.

ამასობაში ვახო გააჩერებდა მოსწავლეს, ყვავილის კონას მიაწვდიდა და სთხოვდა ჭუტა მასწავლებლისთვის მიერთმია და სიტყვა-სიტყვით გადაეცა, რომ სიგიჟემდე უყვარს და მარად ეყვარება.

მერე უცნაურად გადაიხარხარებდა და მაშინ თუ მიხვდებოდი, შერეკილი რომ იყო ვახო.

რამდენჯერ გამაჩერა და სიყვარული გამატანა ჭუტა მასწავლებელთან. ვინ გაბედავდა ყვავილების მირთმევას, საგულდაგულოდ ვმალავდით ჭინჭის ჩანთაში ლამაზ-ლამაზ ყვავილებს, რომ შემდეგ საყვარელი გოგონასთვის მიგვერთმია. თავიდან ახარებდათ ყვავილები ქალიშვილებს, მერე და მერე აიბზუეს ცხვირი, ფანჯრიდან ისროდნენ გიჟი ვახოს მორთმეულ სილამაზეს.

ხედავდა ფანჯრებიდან გადმოყრილ ყვავილებს ვახო, გულზე ხელს იბრაგუნებდა, მაინც ჩემი იქნებიო, მთელი სოფლის გასაგონად ღაღადებდა.

ვის არ უყვარდა ჭუტა მასწავლებელი, ოროსნებიც კი თვალებში შესციცინებდნენ, მუდამ სწავლობდნენ გაკვეთილს და არც საკლასო წერაზე იგვიანებდნენ. ახლა არ იკითხავთ, რა თემებს გვთავაზობდა: „სიყვარული „ვეფხისტყაოსანში", „სიყვარული საკოლმეურნეო თემაზე დაწერილ რომანებში", „ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარული", „სიყვარულო, ძალსა შენსა", „სიყვარული აკაკის შემოქმედებაში", სიყვარული... სიყვარული... სიყვარული...

ვწერდით და ვწერდით, ფერებს არ ვიშურებდით სიყვარულის დასახასიათებლად.

ამ დროს ვახო უსიყვარულოდ იტანჯებოდა.

ჭუტა მასწავლებელს ფანჯრიდან გადახედვა აღარ სურდა. უიმედოდ შეყვარებული მაინც არ შორდებოდა ეზოს. ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს, წინ არავის გადაუდგებოდა, შესცქეროდა ფანჯრებს და ზემოდან მოფრიალე ყვავილის დანახვაზე მიწას აყრიდა ცრემლებს.

სიყვარულის დაშლას კი ვერავინ უბედავდა, თუმცა ხანდახან ჩაიტუტუნებდნენ აღმზრდელები, გადაგვირევს ეს გადარეული ბავშვებსო...

უეცრად აქოთქოთდა სოფელი, უეცრად ორთქლდავარდნილი ქვაბივით მოიგდო ქაფი და აყაყანდა. ყველამ გაიგო, რომ ჭუტა მასწავლებლის ოჯახს მაჭანკალი ეწვია. დიდი კაცი თხოულობსო, ობობას ქსელივით მოედო სოფელს ამბავი.

